ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 27 თებერვალი, 2023 №40 (9076) ფასი: 80 თეთრი


## 43 დაზარალებულიდან ესებუა ვერც ერთმა ვერ ამოიცნო

ადვოკატი: „მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მოსაზრებაა, რომ ბადრი ესებუამ დანაშაული ჩაიდინა“





გვ.5

# „ივანიშვილის მითითებაა, რომ საზღვარგარეთ შეიძლება რუსეთის ლანძღვა, საქართველოში — არა“



გვ.2

დავით ზურაბიშვილი: „შეუძლებელია, რუსეთ-უკრაინის ომში იყო ნეიტრალური! ისეთი სახე აქვს ამ კონფლიქტს, როცა არცერთის მხარეს არა ხარ, ხარ რუსეთის მხარეს“



## „გამოვფხიზლდეთ, თორემ ისევ ივანიშვილი მოვა თავისი კობახიძეებით!“

გვ.3



ლაშა ჩხარტიშვილი: „ოპოზიციას ეს არჩევანი აქვს გასაკეთებელი — ან ხარ ქუჩაში, ან ბუტაფორიულ პარლამენტში და ამაგრებ ივანიშვილს“

გიორგი გაჩეჩილაძე: „საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვის და არა აშშ-ში, სადაც ამგვარი რეგულაცია, სიტყვა „აგენტით“, არ არსებობს“



## „არასამთავრობოების დიდი უმრავლესობა კარგ საქმეს აკეთებს“

გვ.3

„გააანალიზებენ დასავლეთისა და საქართველოს რეაქციას და გაითვალისწინებენ შემდგომი ნაბიჯებისას“

გვ.4



## რისთვის მოსინჯეს ნიადაგი რუსეთმა და ბელარუსმა?

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ ეს ომი, მეორე ფრონტი, პროვოკაციები თავიდან ავიცილეთ“



გვ.3

4 ვინ არის უკრაინაში დაკავებული ქართველი, რომელიც თავს ძალოვნად ასაღებდა და მოხუცებს ფულს სძალავდა

4 ვის უჩივის ივანიშვილის მდივანი სასამართლოში

7 „კორიერე დელო სპორტი“: „ხვიჩა ფეხბურთს ხატავს“

6 რამდენად რეალურია ბელარუსიდან უკრაინაზე შეტევის საფრთხე?!

# „ივანიშვილის მითითებაა, რომ საზღვარგარეთ შეიძლება რუსეთის ლანძღვა, საქართველოში — არა“

## დავით ზურაბიშვილი: „შეუძლებელია, რუსეთ-უკრაინის ომში იყო ნეიტრალური! ისეთი სახე აქვს ამ კონფლიქტს, როცა არცერთის მხარეს არა ხარ, ხარ რუსეთის მხარეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.



***— ბატონო დავით, გასული კვირის ბოლო აქციებით იყო დატვირთული. ვისმენთ შეფასებებს, რომ თუ საზოგადოების ინტერესშია, შესაძლებელი ყოფილა მრავალათასიანი აქცია. რას იტყვით თქვენ?***

— ეს აქცია უკრაინისადმი სოლიდარობას ეძღვნებოდა. ხალხს ნაკლებად აინტერესებდა, ვინ არიან ორგანიზატორები, რადგან თემა იყო ისეთი.

***— უკრაინის მხარდაჭერა და ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავალი.***

— დიახ. ევროპული მომავალი და უკრაინისადმი მხარდაჭერა ის თემებია, რომელთა მიმართ სოლიდარობის გამოსახატავად გამოდის ძალიან ბევრი ადამიანი, რომელთაც შესაძლოა სრულიად სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდეთ, თუმცა ეს ორი რაღაც აერთიანებთ. ხელისუფლების მთავარი პრობლემაც ეს ორი რაღაცაა დღეს. ხელისუფლების დამოკიდებულება რუსეთ-უკრაინის ომისადმი, რბილად რომ ვთქვათ, არ ემთხვევა საზოგადოების განწყობებს. გამოკითხვაც ამას გვეუბნება. საზოგადოება ცალსახად განიხილავს რუსეთს, როგორც ბოროტებას და უკრაინას, როგორც სიკეთეს. ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ საერთოდ რუსეთის ხსენებას ვერ ბედავს.

***— 25 თებერვალს ისეთი განცხადება გააკეთეს, რომ საერთოდ არ იყო იქ რუსეთი ნახსენები. ასე ეშინიათ?***

— რა ვთქვა, არ ვიცი. ყველაფერს აქვს საზღვარი. ხელისუფლება ფიქრობს, მოდი, ასე შევეტენები რუსეთსო. ამით რუსეთს კი არ ეტენება, ქართველი ხალხი ველარ გიტანს, ასეთ რაღაცას როცა ამბობ. ეს განცხადება არაფრის მომტანი არ იყო ხელისუფლებისთვის. ეს იყო სრულიად უზნეო და ამორალური განცხადება.

***— ეშინიათ რუსეთის ხელისუფლების?***

— ამორალური და ლაჩრული დამოკიდებულება — ორივე ერთდროულად აქვთ. ეს ვლინდება ყველგან. ეს აქვთ პირდაპირ ინსტრუქციად ჩადებული. ყველაფერს აბსოლუტურად ამ კუთხით აკეთებენ. თუ რაღაც არ მოხდა, ბიძინა ივანიშვილმა სხვა მითითება არ მისცა, ეს ინსტრუქცია აქვთ მიცემული მკაცრად და მას მიჰყვებიან.

***— ივანიშვილის მითითებაა?***

— რა თქმა უნდა. ამაში ორი აზრი არ არსებობს. როცა ასე საყოველთაო ხასიათი აქვს რაღაცას ხელისუფლებაში, ყველაფერი ივანიშვილის მითითებიდან მოდის. ივანიშვილს კი აქვს ასეთი ზოგადი მითითება, რუსეთს ხელი არ ახლოთ, ცუდად არაფერი არ თქვათ, თუ საზღვარგარეთ არ ხართო. ეს საინტერესო მოვლენაა თავისთავად. საზღვარგარეთ შეიძლება რუსეთის გინება.

***— საქართველოში — არა?***

— საქართველოში, როგორც წესი — არა. ეს ბოლო დღეები კი ცოტა უცნაური იმით იყო, რომ ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები გაკეთდა. გაბედეს და ასეთი ფრაზაც კი ახსენეს — რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, თუმცა მერე მოაყოლეს 25 თებერვალზე ისეთი განცხადება, სადაც რუსეთი საერთოდ არ იყო ნახსენები. მაგრამ ზოგადი მიმართულებაა, რომ რუსეთი ან საერთოდ არ უნდა ახსენონ, ან — ძალიან ნეიტრალურად. ჯერჯერობით რუსეთის უარყოფით კონტექსტში ხსენებას სახლში ყველანაირად ერიდებიან და გაეროში კი ხმას აძლევენ ყველგან რუსეთის წინააღმდეგ.

***— რით აიხსნება ეს ყოველივე?***

— მე რომ აგიხსნათ ეს, თქვენ არ დამიჯერებთ, მაგრამ, გეტყვით, თუ გაინტერესებთ.

***— მართლაც საინტერესოა...***

— არ მკითხოთ, საიდან ვიცი ეს, მაგრამ ვიცი. მოკლედ, პუტინი დარწმუნებულია, რომ საზღვარგარეთ საქართველო რასაც აკეთებს, აქ ბიძინა არაფერ შუაში არ არის. ბიძინა ივანიშვილს არ ეშინია პუტინის იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის საწინააღმდეგო პოზიციას საზღვარგარეთ ვაფიქსირებთ. პუტინმა იცის, რომ იქ ვერ აკონტროლებს ბიძინა ივანიშვილი დიპლომატიურ არხებს. ამიტომ იქ თავისუფალია, იქ ნათქვამზე შიში არა აქვს. ზოგადად, პუტინის წარმოდგენები საერთაშორისო ორგანიზაციებზე ძალიან პრიმიტიული და შეთქმულების თეორიებია. პუტინს ასე სჯერა, რომ ქვეყნის გარეთ ამერიკელები აკონტროლებენ ქართველების საგარეო პოლიტიკას, ხოლო საქართველოში ბიძინას სთხოვს პასუხს.

***— ანუ დასავლეთიდან რუსეთის ლანძღვა ხსნილია?***

— კი, ნამდვილად ასეა. არადა, დასავლეთიდან უფრო არ ზიანდება რუსეთის ინტერესი, ვიდრე იმით, თუ რას იტყვის კობახიძე აქ? მაგრამ ამათ ყველაფერი უკუღმა აქვთ, იმიტომ, რომ ბიძინა ასე თვლის, გარეთ ნათქვამზე პუტინი ბიძინაზე არ გაბრაზდება.

***— ასეთი შიში აქვს ივანიშვილს პუტინის?***

— შიში აღარ ჰქვია ამას. ვინც ბიძინა ივანიშვილს იცნობს და ვისაც მასთან საქმე ჰქონია, ეს ყველამ ვიცით, რომ პუტინის შიში მას ყოველთვის ჰქონდა, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან. ცოტა მეცინება ხოლმე, როცა ბიძინა პუტინის კაცად და ლამის ემისრად გამოჰყავთ. პანიკურად ეშინია პუტინის. ის მას გამოექცა რუსეთიდან თავის დროზე, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პუტინს არა აქვს რაღაც ბერკეტები ბიძინა ივანიშვილზე. ივანიშვილს, ელემენტარულად, სიცოცხლის შიში აქვს, რომ პუტინი მოკლავს. სხვათა შორის, ივანიშვილს დიდხანს ეშინოდა შეერთებული შტატებისაც, ამიტომ ცდილობდა, ბალანსი დაეცვა, თუმცა უკრაინის ომმა ძალიან დაურღვია ეს ბალანსი. ბიძინა ცდილობს, ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს იქ, სადაც ეს შეუძლებელია. შეუძლებელია, რომ რუსეთ-უკრაინის ომში იყო ნეიტრალური! ისეთი სახე აქვს ამ კონფლიქტს, როცა არცერთის მხარეს არა ხარ, ხარ რუსეთის მხარეს. ასე გამოდის.

***— როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს ვითარება?***

— ეს ვითარება გაგრძელდება მანამდე, სანამ უკრაინის ფრონტზე არ მოხდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარდატეხა უკრაინისა და ცივილიზებული კაცობრიობის სასარგებლოდ. გვიანი გაზაფხულისთვის, დარწმუნებული ვარ, ახალი ტერიტორიები გათავისუფლდება უკრაინაში. აი, იქ უკვე ბიძინა ივანიშვილიც შეიცვლის პოზიციას. ცოტა ხნის წინ ბიძინა დარწმუნებული იყო რუსეთის გამარჯვებაში, კობახიძის პირით გვეუბნებოდა, რუსეთს აქვს უპირატესობაო. ახლა, მგონი, თავადაც ეჭვი ეპარება რუსეთის უპირატესობაში. ცოტა ხანში უფრო მეტად შეეპარება. მერე, საინტერესოა, რას იზამს. კობახიძე, ჩათვალეთ, რომ ერთი– ერთში ახმოვანებს ივანიშვილს.

***— რას იტყვით აგენტების შესახებ ახალ კანონზე, რომელიც დღეს შედის პარლამენტში?***

— ამ კანონით მეტი კონტროლი უნდათ არასამთავრობო სექტორზე, განსაკუთრებით — რამდენიმე ორგანიზაციაზე, რომლებიც მას ყველაზე მეტად უშლიან ნერვებს. თუმცა მე გაცილებით ღრმა მომენტსაც ვხედავ. თავის დროზე ჩვენ რომ კანდიდატობის სტატუსი არ მოგვცეს, ზუსტად ვიცი, ამას ევროპაში უფრო მალე მიხვდნენ, რომ შეცდომა იყო. ამან საქართველოში სიტუაცია გააუარესა. უფრო ანტიდასავლური გახდა ხელისუფლება, ვიდრე მანამდე იყო. ხელისუფლებას კი არ შერცხვა, რომ ვერ მივიღე სტატუსი და, მოდი, გამოვსწორდებიო. არა, პირიქით ქნა, უარესების კეთება დაიწყო. ბიძინა ივანიშვილს ეშინია ჩვენი ევროკავშირთან დაახლოების. ამაში ხედავს საკუთარი ძალაუფლების დაკარგვის საფრთხეს. მას უნდა ევროპა, როგორც მატერიალური კეთილდღეობის, უსაფრთხოების მომტანი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა, როგორც დემოკრატიის მომტანი.

ევროპულ დემოკრატიასა და ღირებულებებში ის ხედავს საკუთარი ძალაუფლების დაკარგვის საფრთხეს. ამად კი არაფერი არ ულირს. ამიტომ მიდის ამის წინააღმდეგ, ამიტომ ცდილობს, ამ პროცესის საბოტირებას. აგენტურის კანონიც ამის დადასტურებაა. ივანიშვილი მკაფიოდ და ცალსახად იყო ამაზე გაფრთხილებული, როცა „ხალხის ძალამ“ ეს წამოაყენა, რომ ეს კატეგორიულად მიუღებელია ევროკავშირისთვის. მაინც წავიდნენ ამაზე. თუმცა, არ ვიცი, ბოლომდე წავა თუ არა. მას სერიოზული გაფრთხილება აქვს არასაჯაროდ ამაზე მიღებული. მაინც მგონია, რომ ამ კანონს ამ სახით ვერ გაიტანენ.

***— ბატონო დავით, გიორგი გახარია გააქტიურდა ბოლო პერიოდში. ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ ვისი კაცია გახარია, ვის თამაშს თამაშობს. რას იტყვით თქვენ?***

— მე საერთოდ არა მგონია, რომ ის ვინმეს თამაშს თამაშობს. თავის თამაშს თამაშობს ეს ადამიანი. ყველას თავისი წარსული აქვს, თავის პლუსები და მინუსები. ის არის ოპოზიციური სპექტრის სრულფასოვანი შემადგენელი ნაწილი. მეტსაც ვიტყვი, მას აქვს შანსი, რომ 5%-იანი ბარიერი გადალახოს. რამდენად შეძლებს, უფრო მასშტაბური ლიდერი გახდეს, თუ მეტად გააქტიურდება, ამის შანსიც აქვს. გახარიას მონაწილეობა პოლიტიკაში, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ჯერჯერობით რასაც მე ვუყურებ პარტიებს, გახარია არის ერთადერთი, რომელსაც შეუძლია, „ოცნების“ ამომრჩეველი თავისკენ წაიყვანოს. სხვას ამის შანსი, უბრალოდ, არა აქვს. დღეს ვინც ასე თუ ისე „ოცნებას“ კიდევ მხარს უჭერს, იმათი წამოყვანის შანსი არავის არა აქვს, გარდა გახარიასი.

***— ნაციონალური მოძრაობა ძალიან ცუდ დღეშიაო.***

— ნაცმოძრაობა კარგ დღეში როგორ იქნება?! ჯერ ერთი, რაც ეს ახალი ხელმძღვანელობა აირჩიეს, ამით ისინი მომხრეებს მხოლოდ დაკარგავდნენ და არ მოიმატებდნენ. ამაში დარწმუნებული ვარ. მათი ასეთი რადიკალური დამოკიდებულება, რომ, არიქა, ხვალვე გაათავისუფლონ სააკაშვილი, მარცხისთვის არის განწირული. ამიტომ მომავალში იმედგაცრუების ხარისხი კიდევ უფრო დიდი იქნება.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო და ქართველი ხალხი თურქეთისა და თურქი ხალხის გვერდით დგას“

— ჩემი მთავარი გზავნილი თურქი ხალხის მიმართ იყო და არის შემდეგი, რომ საქართველო და ქართველი ხალხი დგას თურქეთისა და თურქი ხალხის გვერდით, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა თურქეთის რესპუბლიკაში, მიწისძვრით დაზარალებულ ჰათაის პროვინციაში, ქალაქ ანთაქიაში განაცხადა.




მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა სამაშველო ღონისძიებებში ჩართულ ქართველ მაშველებს.

— ჩემი მთავარი გზავნილი თურქი ხალხის მიმართ იყო და არის შემდეგი, რომ საქართველო და ქართველი ხალხი დგას თურქეთის და თურქი ხალხის გვერდით. მე გუშინ ეს გზავნილი და ჩემი სამძიმარი გადავეცი პრეზიდენტ ერდოღანს, რომელსაც მე დავუდასტურე ჩვენი მხარდაჭერა, გამოვხატე ჩვენი სოლიდარობა. ეს არის საშინელი ტრაგედია, რომელიც თავს დაატყდა თურქეთსა და ჩვენს მოძმე თურქ ხალხს. მოგეხსენებათ, რომ 40.000-ზე მეტი გარდაცვლილია დადასტურებული უკვე და 100.000-ზე მეტი არის დაშავებული. ათასობით ადამიანი დარჩა ბინების გარეშე, მაგრამ ჩვენ გვქონდა საუბარი ბატონ ერდოღანთან. მან მითხრა, რომ მისი დავალებით უკვე შექმნილია შესაბამისი შტაბი, გეგმა აქვთ შედგენილი, დაახლოებით ერთ წელიწადში 270.000 ბინას ააშენებენ და ყველა ეს ადამიანი იქნება დაკმაყოფილებული.

მე ასევე მინდა ვთქვა, რომ ჩვენი გმირი მაშველები არიან აქ ადგილზე. ჩვენ იმავე დღეს გამოვგზავნეთ მაშველები, რომლებიც ადგილზე თავიანთი ტექნიკით ჩამოვიდნენ. სამი ადამიანის გადარჩენა შეძლეს, სამწუხაროდ, 80-ზე მეტი გარდაცვლილი აღმოაჩინეს. მე მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს გმირ მაშველებს, სამაშველო სამსახურს, მის ხელმძღვანელობას, ბატონ ვახტანგს, ყველას, ვინც ჩართული იყო სამაშველო ღონისძიებებში. მე ვარ ღრმად დარწმუნებული, რომ ისეთი გონიერი და ძლიერი ლიდერი, როგორიც არის ბატონი ერდოღანი, მისი ლიდერობით თურქი ხალხი ამ განსაცდელს დაძლევს და კიდევ უფრო ძლიერი გამოვა ამ პრობლემიდან, — განაცხადა პრემიერმა.

# ბრძოლები დონბასში

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ყველაზე ცხარე ბრძოლები კვლავ დონბასშია. მათი მთავარი ეპიცენტრია ბახმუტი, ავდეევკა, მარინკა, უგლედარი.

ბახმუტთან რუსმა ოკუპანტებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. მათ დაიკავეს სოფლები ვერხივკა და ბლაგოდატნოე. ამავე დროს, შორს წასვლა ვერ შეძლეს. ბახმუტის ალყაში მოქცევისათვის რუსეთს ძალები არ ჰყოფნის.

სისხლისმღვრელი ბრძოლებია ავდეევკასა და მარინკასთან. კვლავაც ამაო გამოდგა რუსების მიერ ავდეევკის ალყაში მოქცევის მცდელობა. ოკუპანტებმა ასევე ვერ შეძლეს წინ წაწევა მარინკაში. უკრაინელები ამ პატარა ქალაქის ნახევარს კვლავაც ინარჩუნებენ. არ წყდება ცხარე ბრძოლები სოლედარის გარეუბნებშიც. აქ რუსი ოკუპანტები განდევნეს რიგი პოზიციებიდან.

საინტერესოდ ვითარდება პროცესები უგლედართანაც. რუსებმა ქალაქთან გრუს ელიტური სპეცრაზმი გადაისროლეს. მიუხედავად ამისა, უგლედარზე მორიგი შტურმი ამჯერადაც ჩაიშალა. მტერმა დიდი ზარალით დაიხია უკან.

სასტიკი ბრძოლებია სვატოვო-კრემენოესთანაც. მარცხით დასრულდა ოკუპანტების მცდელობა, გაერღვიათ უკრაინული თავდაცვითი რკალი. მტერმა წინ წაწევა ვერ შეძლო.

# ბრძოლები უკრაინის სამხრეთში

უკრაინის სამხრეთში ბრძოლები კვლავ პოზიციურ ხასიათს ატარებს. ისევ ამაო გამოდგა ოკუპანტების მცდელობა, განეხორციელებინათ შეტევა ზაპოროჟიეს მიმართულებით. რუსებმა დიდი ზარალით დაიხიეს უკან. ასევე მარცხით დამთავრდა ხერსონის ოლქში წინსვლის მცდელობა. უკრაინელი მეომრები პოზიციებს ინარჩუნებენ.

უკრაინელმა მეომრებმა განახორციელეს რამდენიმე დარტყმა დროებით ოკუპირებული ყირიმის ტერიტორიაზე, კერძოდ, ჯანკოისთან, არმიანსკთან, სევასტოპოლთან. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გამოვფხიზლდეთ, თორემ ისევ ივანიშვილი მოვა თავისი კობახიძეებით!“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ოპოზიციას ეს არჩევანი აქვს გასაკეთებელი — ან ხარ ქუჩაში, ან ბუტაფორიულ პარლამენტში და ამაგრებ ივანიშვილს“



ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ლაშა, როგორ ფიქრობთ, რამდენიმე დღის წინ უკრაინის სოლიდარობის აქციაზე მისული ხალხი არის მზად, ოპოზიციის მოთხოვნებზეც გამოვიდეს?***

— პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ ეს აქცია მთლიანად ხალხის, ამ ქვეყნის მოქალაქეების დამსახურებაა და სხვა არავისი. აქციაზე მისულმა ხალხმა დაადასტურა, რომ ერი ცოცხალია, რომ საზოგადოება არ ეგუება მონობას და თავისუფლების სადარაჯოზე დგას.

ამ ხალხს უყვარს მეგობარი, მტრის წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინა და, რაც მთავარია, ამ ხალხს უყვარს საკუთარი ქვეყანა. ისინი არაფრის ფასად არ დათმობენ ამ ქვეყანას. ამდენად, სახეზეა ბრძოლისუნარიანობა, მაგრამ საჭიროა სწორი ორგანიზება, ნდობის მოპოვება, რომ ამ ხალხმა ირწმუნოს ოპოზიციის. არა იმ ოპოზიციის, რომელსაც შარლ მიშელის დოკუმენტი თავზე გადაახიეს და მაინც შევიდა პარლამენტში საკუთარი სკამების დასაცავად. ორ სკამზე ჯდომა არ გამოვა.

***— საპარლამენტო ოპოზიციაზე ამბობთ?***

— დიახ. ამ ხალხმა უნდა დატოვოს პარლამენტი. ორ სკამზე ჯდომა არ გამოვა. ან ხარ ქუჩაში, ან ბუტაფორიულ პარლამენტში და ამაგრებ ივანიშვილს. ამ ოპოზიციას ეს არჩევანი აქვს გასაკეთებელი. ჩვენ, „ლეიბორისტებმა“, ეს არჩევანი მარტივად გავაკეთეთ და უარი ვთქვით მანდატზე, რასაც მოჰყვა ჩვენი დასჯა — დაფინანსება შეგვიჩერეს.

საპროტესტო აქციაზე მისულმა ხალხმა, პირველ რიგში, კობახიძეებს უთხრა, რომ მათი არ არის ეს ქვეყანა და მათ ჭკუაზე არ აპირებენ სიარულს.

***— თუ ევროკავშირის სტატუსი არ მივიღეთ, ხალხი ორგანიზების გარეშეც შეიძლება ქუჩაში გამოვიდეს?***

— რა თქმა უნდა! რად უნდა ამ ხალხს ორგანიზება. ესენი მზად არიან, თავისუფლებისთვის, იმ არჩევანისთვის, რომელიც არის ამ ქვეყნის ხვალინდელი დღე, რომელიც ჩვენი წინაპრების არჩევანია, თავიც გაწირონ. კობახიძე დაჟინებით მიგვათრევს უკან და ეს მართლა აგენტები „აგენტების“ გამოსავლენად კანონს რომ იღებენ, მშვენივრად ხვდებიან, რომ არაფერი არ გამოუვათ.

თუნდაც ერთი მაგალითი ავიღოთ — გელათის მონასტერი რომ გადავარჩინოთ, დასავლეთი ფინანსურად გვეხმარება, მაგრამ, იმდენად დიდია კორუფცია, რომ ვერ გაძლნენ, ან ჯვრის მონასტერი, რომელსაც იუნესკო იცავს, ასევე საჭიროებს საგანგებო ყურადღებას, მაგრამ ვის სცალია მცხეთის ჯვრის მონასტრისთვის, „აგენტები“ უნდა დაიჭირონ. ევროპა და ევროკავშირი ასეთი პროექტებისთვის გვიყოფს ფულს, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი იდენტობა და კულტურა. თუ ეს კანონპროექტი მიიღეს, მაშინ მართლაც საბოლოოდ უნდა დავემშვიდობოთ ევროკავშირის სტატუსს. სიმართლე გითხრათ, ისედაც არავინ არ მოგვცემს ევროკავშირის სტატუსს ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, იმ პირობებში, როდესაც გირგვლიანის საქმის მოსამართლეები უვადოდ გადაინიშნნენ, იმის მაგივრად, რომ პასუხი ეგოთ. ან ვინ მოგვცემს სტატუსს, როდესაც სასამართლო სისტემა მთლიანად ჯიბეში აქვს ივანიშვილს ჩადებული და, რა ბრძანებასაც გასცემს, იმას ასრულებენ.

***— ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მიღება ხომ არის „ოცნების“ ამოცანა, რადგან მათ იციან ამ ქვეყნის მოქალაქეების პოზიცია?***

— არა, ეს არ არის მათი ამოცანა. მათ მხოლოდ ერთადერთი მიზანი აქვთ — ყველაფერს გააკეთებენ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის. „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ ერთადერთი მიზანი და ამოცანა აქვს — როგორმე შეინარჩუნონ ძალაუფლება, ერთპარტიული მმართველობა. ავტორიტარული რეჟიმის შენარჩუნებაა მათი მიზანი. ევროკავშირის სტატუსი ნიშნავს ძალაუფლების დაბალანსებას, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას, არა ერთპარტიულობას, არამედ მრავალპარტიულობას, კორუფციაზე უარის თქმას. ეს არის ევროპული ოჯახის წევრობისთვის საჭირო პირობები.

30-წლიანი ბელადომანია უნდა დავასრულოთ. თუ გვინდა, როგორც ქვეყანა, როგორც საზოგადოება გადავრჩეთ, მაშინ უარი უნდა ვთქვათ ბელადებსა და ერთპარტიულ ავტორიტარიზმზე. ეს თავისით არ მოვა. ამისთვის საჭირო იქნება მრავალრიცხოვანი აქციები, შეუპოვარი, დაუღალავი ბრძოლა, ხალხის ნების დაფიქსირება და სამართლიანი არჩევნების მოპოვება. სამართლიანი არჩევნების შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს უბარიერო სისტემა ან ბუნებრივი ბარიერი, რომ ბევრი პარტია შევიდეს პარლამენტში, რათა ერთმანეთი აკონტროლონ. არჩევნები არჩევნებისთვის არაფერს არ შეცვლის, ისევ ივანიშვილი მოვა თავისი კობახიძეებით და კიდევ ერთ ვადას მიითვლიან. ასე რომ არ მოხდეს, საჭიროა გამოვფხიზლდეთ.

# „არასამთავრობოების დიდი უმრავლესობა კარგ საქმეს აკეთებს“

## გიორგი გაჩეჩილაძე: „საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვის და არა აშშ-ში, სადაც ამგვარი რეგულაცია, სიტყვა „აგენტით“, არ არსებობს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.**

***— ბატონო გიორგი, თქვენ მოუწოდეთ საპარლამენტო უმრავლესობას, მხარი არ დაუჭიროს კანონპროექტს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. რატომ? საფრთხეს რაში ხედავთ?***

— ამ კანონპროექტის მიხედვით, „უცხოური გავლენის აგენტად“ გამოცხადდება ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც უცხოეთიდან ფინანსდებიან. თუ ამ კანონის მიზანი არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური გამჭვირვალობაა, ამის გაკეთება უმტკივნეულოდ შეიძლება.

***— როგორ?***

— მათი ფინანსური წყაროების გამოქვეყნების დავალდებულების გზით, რასაც ისინი და მათი დონორები ისედაც აკეთებენ. მაშინ ჩნდება კითხვა, აქ რა შუაშია „აგენტის“ იარლიყის მიწებება? მაგალითად, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენი უნიკალური ბუნების გადარჩენის სადარაჯოზე დგანან და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებენ, მთლიანად საერთაშორისო ფონდებიდან ფინანსდებიან, რადგან საქართველოში ამის საშუალება არ არსებობს.

მათ შორის, გაეროს ეკოლოგიური ფონდებიდან ფინანსდებიან სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც მათ საქართველოში მეცნიერების გადასარჩენად მხარს უჭერენ.

ორგანიზაციები გრანტებს დასავლეთის სამეცნიერო ფონდებიდან იღებენ, ანუ ისინი „უცხოური გავლენის აგენტებად“ გამოცხადდებიან? ეს ხომ ამ საზოგადოების სერიოზული შეურაცხყოფა იქნება.

***— ამ კანონის მიღების შემთხვევაში რა მოხდება?***

— ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები ხელისუფლებას რჩევას აძლევენ, რომ ასეთი კანონი არ მიიღონ. მიუხედავად ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების რჩევისა, თუ ამ კანონს პარლამენტი მაინც მიიღებს, ეს პირდაპირი განაცხადი იქნება, რომ საქართველოში ხელოვნურად ფერხდება ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი და ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციისკენ მიდის,



რაც საქართველოს აბსოლუტურად დაუცველს გახდის.

***— ერთი კანონის მიღებით ევროინტეგრაციის პროცესი როგორ შეფერხდება?***

— შეფერხდება. მავანი ამ კანონის მიღებას სათავისოდ გამოიყენებს და საბოლოოდ ქვეყანა ისეთი ავტორიტარული ქვეყნების „კლუბში“ შეიძლება აღმოჩნდეს, როგორებიცაა რუსეთი, ბელარუსი, ჩრდილოეთი კორეა, ზიმბაბვე და ა.შ., რამაც შეიძლება ჩვენი ქვეყნის ერთადერთი საერთაშორისო ბერკეტისა და უსაფრთხოების გარანტის, ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელი დერეფნის გეოპოლიტიკური ფუნქციის შეფერხებამდე მიგვიყვანოს.

ამით პრობლემებს შევუქმნით არა მარტო ჩვენი ქვეყნის მომავალს, არამედ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც ამ დერეფნის საშუალებით რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევას ცდილობენ.

***— კი მაგრამ, პროექტის ინიციატორები აცხადებენ, რომ აღნიშნული კანონპროექტი ამერიკული კანონის ანალოგია. თუ ასეთი კანონი ამერიკისთვის კარგია, საქართველოსთვის ცუდი რატომ იქნება?***

— იმის ძახილი, რომ ეს კანონი ამერიკის კანონის ანალოგია, სიმართლესთან ახლოსაც რომ იყოს, საქმეს ვერ შველის. საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვის და არა აშშ-ში, სადაც ამგვარი რეგულაცია, სიტყვა „აგენტით“, არ არსებობს.

კანონპროექტის ავტორებს ევროკავშირის წევრი უნგრეთის „უცხოური აგენტების“ კანონი მოჰყავთ, თუმცა არ ამბობენ, რომ უნგრეთი იძულებული გახდა, ეს კანონი გაეუქმებინა.

***— რატომ გააუქმა?***

— მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ 2020 წლის 18 ივნისს, ევროკომისიის მიმართვის საფუძველზე, კანონი ევროკავშირის ფუნდამენტურ პრინციპებთან შეუსაბამოდ მიიჩნია. ასეთივე პოზიცია დააფიქსირა ვენეციის კომისიამაც.

აქედან ნათელია, რომ ეს კანონი ევროკომისიის მიერ ჩვენთვის შემუშავებული 12– პუნქტიანი რეკომენდაციის სულისკვეთებას ეწინააღმდეგება, განსაკუთრებით, მე-10 პუნქტს, ამიტომ პრობლემას შეუქმნის საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, რაც მთავარია, კონსტიტუციის 38-ე მუხლს ეწინააღმდეგება.

***— კერძოდ?***

— კერძოდ, 38-ე მუხლში წერია: „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ზომა მიიღონ ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“.

***— ეს კანონპროექტის ავტორებმა არ იციან?***

— არ ვიცი. როგორც ჩანს, კანონის მიღების მიზანი გამჭვირვალობა კი არა, კონტროლის ქვეშ არსებული მრავალრიცხოვანი მედიის (მათ შორის, სოკოებივით მომრავლებული რუსულ ფულზე მომუშავე) საშუალებით არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციისთვის „აგენტის“ იარლიყის მიწებებაა.

ჩვენ მივმართეთ ევროკავშირის ინსტიტუტებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონის ასეთი ფორმით მიღების შემთხვევაში აშკარა გახდება, რომ საქართველოში ხელოვნურად იქმნება პრობლემები ევროინტეგრაციის გზაზე, მაინც მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება და საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭონ.

ხელისუფლებები იცვლებიან, მაგრამ საქართველო და მისი ევროინტეგრაციის მომხრე მოსახლეობა რჩება. მათ შვილებს, საუკუნოვანი ტანჯვისა და უბედურების შემდეგ, უფლება აქვთ, ნორმალური, უსაფრთხო და სტაბილური ცხოვრების პერსპექტივა მიიღონ.

ჩვენ გავაგრძელებთ საქმიანობას საერთაშორისო დონეზე, რათა „ევროპის მწვანეთა პარტიის“ უახლოეს კონგრესზე, ვენაში (ავსტრია), საქართველოს ევროინტეგრაციის მხარდამჭერი რეზოლუცია კიდევ ერთხელ მივაღებინოთ.

***— რუსული დაფინანსების ორგანიზაციებიც ხომ გამომჟღავნდებიან?***

— ალბათ. კარგი იქნება, ამ კანონის განხილვის დაწყებამდე გამოაქვეყნონ იმ ორგანიზაციების სია, მათი დაფინანსების წყაროების მითითებით, რომლებიც საქართველოში ოკუპანტის მესიჯების გავრცელებით საზოგადოებას ტვინს ურეცხავენ, საკუთარი სამშობლოს ღალატისკენ უბიძგებენ.

***— თქვენ აქცენტს აკეთებთ იმაზე, რომ კანონპროექტი შეიძლება შეიცვალოს, თუ ხელისუფლებას უნდა, გამჭვირვალე იყოს ის ფინანსები, რომლებიც უცხოეთიდან შემოდის და არასამთავრობო ორგანიზაციებზე ნაწილდება. თუ „უცხოური გავლენის აგენტის“ ცნებას არ შემოიღებენ, მაშინ რა უნდა ეწოდოს, რომ უმტკივნეულო იყოს?***

— უნგრეთში თავდაპირველად ასეთი კანონი მიიღეს, მაგრამ, როგორც გითხარით, ვენეციის კომისიამ და ევროსასამართლომ ევროპული პრინციპების საწინააღმდეგოდ მიიჩნია. ამიტომ შემდეგ უნგრეთმა შეცვალა და კანონიდან ამოიღო როგორც აგენტის ცნება, ასევე რეესტრის შექმნაც. უბრალოდ, დაავალდებულა, დაფინანსების წყაროები და რაოდენობა გამოაქვეყნონ. შეიძლება, ჩვენთანაც ასე გაკეთდეს,

***— თუკი დაფინანსების წყაროებისა და თანხების ოდენობის გამოქვეყნების ვალდებულება ექნებათ, რეესტრი რას უშლის?***

— შეიძლება, ყველა ორგანიზაციამ თავის საიტზე გამოაქვეყნოს ანდა ოფიციალურად რომელიმე სამსახურს, მაგალითად, აუდიტის სამსახურს დაევალოს, წელიწადში ერთხელ ინფორმაცია მიაწოდონ. ამის მოფიქრება შეიძლება.

***— ხარჯვის შესახებ?***

— ხარჯვა არავის ეკითხება. ეს დონორის საქმეა, ვინ როგორ ხარჯავს მის ფულს, ანუ არასამთავრობოსა და დონორის საქმეა, გამოაქვეყნებს თუ არა. ამის ვალდებულება არც ამ კანონპროექტით აქვთ. კანონპროექტში წერია, რომ რეესტრი უნდა შეიქმნას და, პარალელურად, ამ რეესტრში მოხვედრილ ორგანიზაციებს საგარეო გავლენის ორგანიზაციები უნდა დაერქვას.

არასამთავრობოების დიდი უმრავლესობა კარგ საქმეს აკეთებს. მმართველ გუნდს ვურჩევ, აგენტის სახელწოდება ამოიღოს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ ეს ომი, მეორე ფრონტი, პროვოკაციები თავიდან ავიცილეთ“



— ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების მიერ გატარებულ კურსს, რომელიც უკავშირდება ქვეყანაში გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას, — ამის შესახებ ღარიბაშვილმა თურქეთის რესპუბლიკაში, ჰათაის პროვინციაში, ქალაქ ანთაქიაში ჟურნალისტებს განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ხელისუფლების მთავარი საზრუნავი იყო, არის და იქნება მშვიდობის შენარჩუნება, რომელიც სტაბილურობისა და განვითარების წინაპირობაა.

— აბსოლუტურად დესტრუქციული ქმედება იყო და არის რადიკალური, ექსტრემისტული ოპოზიციის მხრიდან. ჩვენ ვნახეთ ომის დაწყების პირველივე დღეებიდან მათი ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული, ანტიქართული ქმედება. მათი ამოცანა და მათი ქმედება, საუბედუროდ, არ ყოფილა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ეროვნული ინტერესების გატარება, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი ხალხი ბრძენია.

ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის და ხელისუფლების მიერ გატარებულ კურსს, რომელიც უკავშირდება ქვეყანაში გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას. მშვიდობის გარეშე, ჩემო მეგობრებო, არ იარსებებს არაფერი.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ხელისუფლებამ თავიდან აიცილა მეორე ფრონტი და პროვოკაციები.

# რისთვის მოსინჯეს ნიადაგი რუსეთმა და ბელარუსმა?

## „გააანალიზებენ დასავლეთისა და საქართველოს რეაქციას და გაითვალისწინებენ შემდგომი ნაბიჯებისას“

მარიამ მჭედლიშვილი



ექსპერტები მსჯელობენ იმაზე, თუ რა ნაბიჯები შეიძლება გადადგან ოკუპანტმა რუსეთმა და მისმა მოკავშირე ბელარუსმა მოგვიანებით საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმართ.

საზოგადოებისთვის ცნობილია აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიას მინსკში ჩასვლისა და ლუკაშენკოსთან შეხვედრის ამბავი, რაც საქართველოს პრეზიდენტმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა გააპროტესტეს. ბელარუსში ბჟანიამ რუსეთიდან მოულოდნელად შეიარა, სადაც მორიგი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. საზოგადოებამ იცის, რომ ამ ეტაპზე ოკუპანტი რუსეთი საქართველოს ოკუპირებული რეგიონების რუსეთის ფედერაციასთან მიერთების პროცედურის დაწყებას (რაზეც მითქმა-მოთქმა ატყდა) არ აპირებს, პუტინის ამფსონი ბელარუსის ლიდერი კი ჯერჯერობით არ გეგმავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას.

რამდენიმე თვის წინ აფხაზეთის საოკუპაციო ადმინისტრაციამ გამოთქვა მზადყოფნა, მიუერთდეს რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს. ამ განცხადებებს აფხაზეთის საზოგადოებაში უკმაყოფილება მოჰყვა. ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ რუსეთ-ბელარუსის კავშირში შესვლით აფხაზეთში „დამოუკიდებლობისა“ და ავტონომიურობის ნიშანწყალიც აღარ დარჩება, აფხაზეთის მიწებს კი რუსები დაუბრკოლებლად დაეპატრონებიან.

მინსკში გამართული შეხვედრისას არც ამ კავშირში აფხაზეთის შესვლაზე და არც სხვა საკითხებზე პოლიტიკური გადაწყვეტილება არ გახმოვანებულა. დაანონსდა ეკონომიკური თანამშრომლობა.

ეკონომისტი ახრა ავიძბა ბჟანიას ბელარუსში სტუმრობას ზრდილობის ვიზიტს უწოდებს. „ეხო კავკაზასთან“ ინტერვიუში იგი ბჟანიას უპრინციპობის გამო აკრიტიკებს. ავიძბას თქმით, ბელარუსთან მიმართებით ვლადისლავ არძინბას მყარი პოზიცია ჰქონდა – ჯერ აღიარება, შემდეგ კი – სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. მისი სიტყვებით, 2008 წელს ლუკაშენკოს სერგეი ბაღაფში შეხვდა. ლუკაშენკომ მას სავაჭრო წარმომადგენლობის გახსნა შესთავაზა, ბაღაფში კი ამაზე არ წავიდა იმავე მიზეზით. ავიძბას აზრით, წინათ აფხაზეთი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის საკითხში არანაირ დათმობაზე არ მიდიოდა, დღეს კი სხვა პოზიციაზეა და სავაჭრო წარმომადგენლობაზე საუბრით კნინდება სტატუსი მოლაპარაკებათა პროცესში.

აფხაზი, ოსი თუ რუსი კომენტატორები ძველ ფირფიტას ატრიალებენ და არ იმჩნევენ იმას, რომ უკრაინის წინააღმდეგ ომში ჩართული აგრესორი რუსეთი მსოფლიოსთვის კეთროვანი გახდა, ომის არაერთ ოპერაციაში ხელი მოეცარა, მისი ხელშემწყობი ლუკაშენკოს ბედი კი ბეწვზე კიდია.

ბჟანიას ვოიაჟზე ინტერვიუში საუბრობს ცხინვალელი პოლიტოლოგი **ვიაჩესლავ გობოზოვი**, რომელსაც რატომღაც ეჩვენება, რომ თბილისი იარაღს ისხამს. მისი ტერმინოლოგია ეწინააღმდეგება სამართლის ნორმებს.

***– ასლან ბჟანიასთან საუბრისას ალექსანდრ ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ ამ რთულ დროს ერთმანეთთან უფრო ახლოს უნდა იყვნენ თბილისიც, სოხუმიც, მინსკიც, რომ ყველანი როგორღაც უნდა შეწებდნენ, ერთმანეთისკენ უნდა ისწრაფვოდნენ. თქვენი აზრით, ხომ არ დგას ამ განცხადებების უკან რუსეთ-ბელარუსის გეგმები კონფლიქტური რეგიონის შეწებების (როგორც ლუკაშენკო ამბობს) თაობაზე?***

– არა მგონია, ამ გამონათქვამებს რაღაც სარჩული ედოს, ამაზე გარკვეული პროექტი არსებობდეს. ასე რომ იყოს, საინფორმაციო-ანალიტიკური მზადება უფრო აქტიური იქნებოდა.

ჩემი აზრით, ეს განცხადება მხოლოდ ლუკაშენკოს დიპლომატიური რევერანსია საქართველოს მიმართ. ბელარუსის პრეზიდენტს მშვენივრად ესმის, რომ საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ერთმანეთთან მიწებებაზე საუბარიც კი შეუძლებელია, ვიდრე თბილისი არ აღიარებს ჩამოყალიბებულ რეალიებს. ეს რევერანსია იმ სიტუაციაში, როცა არ არის გადაწყვეტილი, როგორ განვითარდება ურთიერთობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან. ეს ინიციატივა იმდენად მინსკის კი არა, რუსეთ-ბელარუსისაა.

ლეკაშენკოს დიპლომატიური რევერანსი განპირობებულია იმით, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში გაურკვეველია, საით წავა პროცესები – სამოკავშირეო სახელმწიფოს წევრების რიცხვის გაზრდისკენ თუ არსებული სიტუაციის შენარჩუნებისკენ.

***– იქნებ ლუკაშენკოს სიტყვებში არის მოწოდება საქართველოსადმი პოზიციების დაახლოებისკენ ან სამოკავშირეო სახელმწიფოში შესვლისკენაც კი?***

– არა მგონია. არც რუსეთმა და არც ბელარუსმა არ იციან, როგორ განვითარდება ურთიერთობა საქართველოსთან. ითვლება, რომ დღეს საქართველოს პრაგმატული პოზიცია უკავია. მე ამ პრაგმატიზმს სკეპტიკურად ვუყურებ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისს თითქოს ნეიტრალური პოზიცია უკავია უკრაინის კრიზისის მიმართ, აქტიურად ხდება საქართველოს შეიარაღება და ნატოსთან თანამშრომლობის განვითარება, ანუ ეს ნეიტრალიტეტი ერთობ სპეციფიკურია.

***– იძლევა თუ არა ეს ვიზიტი საშუალებას ვივარაუდოთ, რომ მინსკი ემზადება აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარებისათვის?***



– ამჟამად ალბათ მინსკი უფრო ახლოს არის აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ცნობასთან, ვიდრე, მაგალითად, ერთი წლის წინ იყო. რესპუბლიკების აღიარების დაპირება ახლაც არ არის. მინსკს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია – ეს ჩანს ალექსანდრ ლუკაშენკოს განცხადებებში.

***– თავად ვიზიტის ფაქტი რაზე მეტყველებს?***

– პირველ რიგში, მეტყველი იყო ლუკაშენკოს ჩასვლა აფხაზეთში. ეს იყო უპრეცედენტო ნაბიჯი. ახლანდელი ფაქტიც ფაქტად რჩება: ბელარუსის პრეზიდენტმა მიიღო სახელმწიფოს პრეზიდენტი, რომელსაც თბილისი მიიჩნევს სეპარატისტულ უკანონო წარმონაქმნად.

ეს შეხვედრა მიანიშნებს ცვლილებას ბელარუსის პოზიციაში. ეს ადასტურებს, რომ სიტუაცია სერიოზულად იცვლება. ვფიქრობ, ამ ვიზიტის შედეგად დააკვირდებიან სიტუაციას, გააანალიზებენ დასავლეთისა და საქართველოს რეაქციას და გაითვალისწინებენ შემდგომი ნაბიჯებისას. ის, რომ მათ დღის წესრიგში რაღაც დონით დგას აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სამოკავშირეო სახელმწიფოში შესვლის საკითხი, ხასიათდება ბჟანიასა და ლუკაშენკოს შორის თავად შეხვედრის ფაქტით.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს გმირ მაშველებს, სამაშველო სამსახურს“



– მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს გმირ მაშველებს, სამაშველო სამსახურს, მის ხელმძღვანელობას, ბატონ ვახტანგს, ყველას, ვინც ჩართული იყო სამაშველო ღონისძიებებში, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა თურქეთის რესპუბლიკაში, მიწისძვრით დაზარალებულ ჰათაის პროვინციაში, ქალაქ ანთაქიაში განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ქართველმა მაშველებმა რამდენიმე ადამიანის გადარჩენა შეძლეს.

„მე ასევე მინდა ვთქვა, რომ ჩვენი გმირი მაშველები არიან აქ ადგილზე. ჩვენ იმავე დღეს გამოვგზავნეთ მაშველები, რომლებიც ადგილზე თავიანთი ტექნიკით ჩამოვიდნენ. სამი ადამიანის გადარჩენა შეძლეს, სამწუხაროდ, 80-ზე მეტი გარდაცვლილი აღმოაჩინეს. მე მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს გმირ მაშველებს, სამაშველო სამსახურს, მის ხელმძღვანელობას, ბატონ ვახტანგს, ყველას, ვინც ჩართული იყო სამაშველო ღონისძიებებში. მე ვარ ღრმად დარწმუნებული, რომ ისეთი გონიერი და ძლიერი ლიდერი, როგორიც არის ბატონი ერდოღანი, მისი ლიდერობით თურქი ხალხი ამ განსაცდელს დაძლევს და კიდევ უფრო ძლიერი გამოვა ამ პრობლემიდან, – განაცხადა პრემიერმა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები ჰათაის პროვინციაში, ქალაქ ანთაქიაში, თურქულ მხარესთან კოორდინირებით, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებს ამ დრომდე ახორციელებენ. მაშველები საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში 6 თებერვალს გაემგზავრნენ. პირველ ეტაპზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამაშველო ჯგუფი სამუშაოებს ქალაქ ადიამანში აწარმოებდა, როტაციის შემდეგ კი ახალი ამოცანა განისაზღვრა და ქართულმა სამაშველო ჯგუფმა ქალაქ ათაქიაში გადაინაცვლა.

ქართველი მაშველების ჯგუფი დაკომპლექტებულია მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით გადამზადებული მეხანძრე-მაშველებით.

ქართული სამაშველო ჯგუფი თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით იმყოფება.

**სამართალი**

# ვის უჩივის ივანიშვილის მდივანი სასამართლოში

სკანდალი „ქართუ ბანკში“ – „ნოდარ მელაძის შაბათის“ ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის მდივანი, რომელმაც მასთან 13 წლის განმავლობაში იმუშავა, სასამართლოში ჩივის.

დეა შაფათავა, რომელიც ივანიშვილთან, 2006 წლიდან მუშაობდა და ოლიგარქის დიდი ნდობით სარგებლობდა, „ქართუ ბანკში“ განუკითხაობაზე, დისკრიმინაციაზე, ადამიანების დევნასა და ჩაგვრაზე ალაპარაკდა. ის ხელს ბანკის შეფ ნატო ხაინდრავას ადებს.

შაფათავას ინფორმაციით, ნატო ხაინდრავამ შაფათავას შარი ივანიშვილის სანდრო კადრს ვაქცინის გამო მოსდო. არსებული ინფორმაციით, თანამშრომელს, რომელსაც აცრა არ უნდოდა, გენერალური დირექტორი შეურაცხყოფას აყენებდა, ამცირებდა და აბულინგებდა, რის გამოც ბიზნესის მართვის დეპარტამენტის უფროსი იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამსახური.

შაფათავა ამტკიცებს, რომ ვაქცინაცია მხოლოდ მიზეზი იყო. ხაინდრავამ საჭირო დრო იპოვა ივანიშვილთან დაახლოებული კადრის გასანეიტრალებლად.

დეა შაფათავას აქვს ეჭვიც, რომ ხაინდრავა მარტო არ იყო, ვინც მის წინააღმდეგ მოქმედებდა. იყვნენ კონკრეტული პირები, რომლებსაც სურდათ, მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას ჰქონოდა კომუნიკაცია ივანიშვილთან და ის ვაკუუმში ემყოფებინათ.

„შაბათის ეთერს“ წყარო უყვება, რომ ივანიშვილის პირადი მდივნის მოშორებაში ჩართული იყვნენ გრიგოლ ლილუაშვილი და ივანიშვილების დიასახლისი როზა ბადოიანი, რადგან ხშირად პირად მდივანს ოლიგარქამდე ისეთი ამბის მიტანა შეეძლო,



რაც მათ ინტერესებში არ შედიოდა.

შაფათავა ახლა სასამართლოსგან ითხოვს დადგინდეს, რომ ის „ქართუს“ შეფის მხრიდან დისკრიმინაციის მსხვერპლი იყო, რის გამოც გადაულახავი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

მოსამართლე გადაწყვეტილებას დეა შაფათავას საქმეზე 28 თებერვალს, დილის 10-ის ნახევარზე გამოაცხადებს.

# ბარის თანამშრომლებმა კლიენტზე იძალადეს და გაძარცვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული მოქმედებებისა და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ძალადობით ჩადენილი ძარცვის ბრალდებით, თბილისში ოთხი პირი: 1994 წელს დაბადებული ბ.კ., 1985 წელს დაბადებული მ.ღ., 1986 წელს დაბადებული მ.მ. და 1985 წელს დაბადებული წარსულში ნასამართლევი გ.ა. ცხელ კვალზე დააკავეს. დანაშაული 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს – 1982 წელს დაბადებულ დ.კ.-ს თბილისში, მდებარე ერთ-ერთ ბარში, ამავე ობიექტის თანამშრომლები, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, შეკვეთისთვის შეუსაბამო თანხის გადახდას სთხოვდნენ, რაზეც დ.კ.-მ უარი განაცხადა. ამის გამო ბარის 4-მა წარმომადგენელმა მას ძალის გამოყენებით წაართვა თანხა და პირადი ნივთები.

სამართალდამცველებმა ოთხივე პირი ცხელ კვალზე ბრალდებულის სახით დააკავეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ძალადობით ჩადენილ ძარცვას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

# თელავში ავტოავარიას 2 ადამიანი ემსხვერპლა, ერთ-ერთი პოლიციელია

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, თელავში ავტოავარიას 2 ადამიანი ემსხვერპლა. ერთ-ერთი მათგანი პოლიციის თანამშრომელია.

არსებული ცნობებით, შემთხვევა გუშინწინ გვიან ღამით თელავში, თბილისის გზატკეცილზე მოხდა, როდესაც მსუბუქი ავტომობილი ხეს დაეჯახა. ორი ადამიანი ადგილზე გარდაიცვალა.

# ვინ არის უკრაინაში დაკავებული ქართველი, რომელიც თავს ძალოვნად ასაღებდა და მოხუცებს ფულს სძალავდა

პოლონეთში დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც თავს პოლიციელად ასაღებდა და ხანდაზმულებს ფულს სძალავდა. ინფორმაციას პოლონური მედია ავრცელებს.

ადგილობრივმა პოლიციამ სულ 4 ადამიანი დააკავა, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით თაღლითური სქემით ფულის გამოძალვით იყვნენ დაკავებული.




ბრალდებულები ქალაქ პოზნანში დააკავეს, თუმცა მანამდე, ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, დაჯგუფება ქალაქ ტარნოვში ხანდაზმული კაცისგან 25.000 ზლოტის გამოძალვას გეგმავდა.

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეს, პოლიციამ დაადგინა, რომ ის ანალოგიური სქემით პოლონეთის რამდენიმე ქალაქში მოქმედებდა – თაღლითურად მოპოვებულმა თანხამ საერთო ჯამში 220.000 ზლოტი შეადგინა.

ოთხივე დაკავებულს ბრალდება თაღლითობის მუხლით აქვს წარდგენილი და მათ 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

# მეოთხე დღეა, ქობულეთში ზღვაში გაუჩინარებულ გოგოს ეძებენ

ქობულეთში მეოთხე დღეა, ზღვაში, მაშველები გოგოს ეძებენ. ამის შესახებ ინფორმაციას პია.გე ავრცელებს.

ახალგაზრდა ქალი ზღვაში 22 თებერვალს გაუჩინარდა.

ადგილზე სამძებრო სამუშაოებში მყვინთავები მონაწილეობენ.

ადგილობრივების თქმით, 2 გოგო წყალში ძაღლის გადასარჩენად შევიდა, ერთმა გამოსვლა მოახერხა, მეორე კი ზღვიდან ვერ გამოვიდა.

# საით მივდივართ

**„ვერ გაგიგია, ამირან, არგამარჯვების ნიშანი, მეორედ იქვე მოვედით, გუშინ რომ დავკარ ისარი“**

*ხალხური*

მეოცე საუკუნის დასასრულს უზარმაზარი საბჭოთა იმპერია საყოველთაო კრიზისმა მოიცვა. სერიოზული პრობლემები შეიქმნა კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში. მილიონობით საბჭოთა ადამიანი შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდა. დაძაბულობამ პიკს მიაღწია. კომუნისტურ ხელმძღვანელობას ქვეყნის მართვა ძველებურად აღარ შეეძლო, აღარც ხალხს სურდა ძველებურად ცხოვრება.

მაშინ მე ქ. ჭიათურაში პარტიული მუშაკი ვიყავი და ცენტრალური კომიტეტის მაღალი თანამდებობის პირები ქვეყანაში მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე არაორაზროვნად მიგვანიშნებდნენ. სისხლიანი რევოლუციებით ხელისუფლებაში მოსულ კომუნისტებს, ამავე სახის რევოლუციებით წასვლის რეალური საფრთხე დაემუქრათ. „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“ – დაასკვნეს კომუნისტებმა და არჩევნების გზით ხელისუფლებიდან წასვლა საუკეთესო ვარიანტად მიიჩნიეს. არჩევნების გზით ერთი პოლიტიკური ძალა რომ ხელისუფლებიდან წავიდეს, მეორე უნდა მოვიდეს, ამიტომ საჭირო გახდა 70-წლიან პრაქტიკაზე უარის თქმა და მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნა. 1990 წლის 28 ოქტომბერს დაინიშნა კიდეც ასეთი არჩევნები. მასში რამდენიმე პოლიტიკური ძალა მონაწილეობდა, მათ შორის კომუნისტური პარტია ბევრად უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი შერწყმული იყო ხელისუფლებასთან და ფლობდა მთელ სახელმწიფო რესურსს, მათ შორის არჩევნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანს: ფინანსურს, ადმინისტრაციულს, სამართალდამცავს, ძალოვანს და სხვა. განსაკუთრებით მკვეთრი იყო კომპარტიის უპირატესობა ადამიანური რესურსებით: ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტო, დაწყებული უმაღლესი ეშელონებიდან და დამთავრებული სოფლის სკოლებითა და ბავშვთა ბაგაბაღებით, დაკომპლექტებული იყო კომუნისტი ხელმძღვანელი კადრებით. ამ დიდ არმიას ემატებოდა პარტიის რეზერვად წოდებული, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში დასაქმებული კომკავშირელი ახალგაზრდობა. მთელი ეს კონტინგენტი თანამდებობებზე დანიშნული იყო პარტიულობისა და ერთგულების ნიშნით. ამიტომ კომპარტიის მოწოდებისთანავე, ისინი მზად იყვნენ თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი რიგითი თანამშრომლებითურთ, დარაზმულიყვნენ არჩევნებში კომპარტიის წარმატების მისაღწევად. ეს კი გამოიწვევდა მისი გეგმის ჩაშლას, რაც არჩევნების გზით ხელისუფლებიდან წასვლას ითვალისწინებდა.

ამიტომ არჩევნებში კომუნისტების მხარდამჭერი მოწოდებები ცენტრალური ორგანოებიდან არ ჟღერდებოდა. ამით კი მწვანე შუქი ჰქონდათ ანთებული სხვა საარჩევნო სუბიექტებს.

არჩევნების შედეგებით გამარჯვებული გახდა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. ფაქტობრივად გამარჯვებული იყო კომუნისტური პარტიაც. მან მიზანს მიაღწია. მრავალპარტიული არჩევნების სახელწოდებით დადგმული „სპექტაკლი“ დემოკრატიული არჩევნების ნიღბით შეფუთა, 70 წლის განმავლობაში „სწრაფად, იაფად და მაღალხარისხიანად“ ნაშენები, გალატაკებული ქვეყანა ოპოზიციას გადააბარა („შეაჩეჩა“), თვითონ კი თამაშიდან გავიდა.

არჩევნების შედეგებით მარქსისტული პოლიტიკური ძალა ხელისუფლებიდან წავიდა, ეროვნული კი – მოვიდა. თანაც ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. შექმნილი რეალობა რუსულ ფრაზას მახსენებდა – все довольные, все смеются (ყველა კმაყოფილია, ყველა იცინის).

ხელისუფლებაში მოსვლამდე ეროვნული მთავრობის წარმომადგენლები კომუნისტურ წყობილებას რეჟიმად მოიხსენიებდნენ და კრიტიკის ქარცეცხლში ავლებდნენ მას. ამ ლოგიკით მათ საქმიანობა ამ რეჟიმის დემონტაჟით უნდა დაეწყოთ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ეროვნული ხელისუფლებისათვის მისაღები აღმოჩნდა ოპოზიციაში ყოფნისას მათ მიერვე დაგმობილი კომუნისტური მმართველობისათვის დამახასიათებელი ფორმები და მეთოდები. თავდაპირველად ამ პროცესების აღქმა შეიძლებოდა, როგორც გადმონაშთი. ამ ლოგიკით, ისინი თანმიმდევრულად უნდა დაძლეულიყვნენ. ფაქტობრივად კი ხდება პირიქით. დღეს სახეზეა კომუნისტური მმართველობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები. აი ზოგიერთი მათგანი:

– ერთპარტიული მმართველობა:

– ბოლშევიკურ კომუნიზმთან ასოცირებული ცრუ დაპირებები;

– პოლიტიკურ ძალთა გათიშვა და ურთიერთდაპირისპირება (ბოლშევიკები და მენშევიკები);

– ერთსულოვნებისა და ტაშის გრიალში ჩატარებული ყრილობები;

– ხელმძღვანელ კადრთა დანიშვნა პარტიულობისა და ერთგულების ნიშნით;

– „ჩვენიანების“ სახით საზოგადოებაში საყრდენი ბირთვის შექმნა (კომუნისტური ბირთვი);

– პიროვნების კულტის (ბელადის) ფორმირება;

– არჩევნების გაუფასურება. მისდამი ნიჰილისტური, უნდობლური დამოკიდებულების დამკვიდრება.

შეცდომაა, როცა ვამბობთ, რომ 2012 წელს ხელისუფალთა ადგილმონაცვლეობა მოხდა არჩევნების გზით. არჩევნებს მაშინ აქვს აზრი, როცა ის სამართლიანია. ერთპარტიული მმართველობის პირობებში კი იგი ყოველთვის მიკერძოებულია. ამ შემთხვევაში პარტია შერწყმულია ხელისუფლებასთან. ისინი ერთობლივად იღვწიან თავიანთი მმართველობის ვადის გახანგრძლივებისათვის. ამ მიზნით ქმნიან ხელისუფლებაზე მორგებულ საარჩევნო-საკანონმდებლო ბაზას. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, აგრეთვე რესპუბლიკურ და რეგიონულ სტრუქტურებს აკომპლექტებენ თანაპარტიელი და ერთგული კადრებით. ამ პრინციპით დაკომპლექტებული საჯარო სამსახურების თანამშრომლები არჩევნებში გვევლინებიან ხელისუფლების არა უბრალო, რიგით მხარდამჭერებად, არამედ აქტიურ პროპაგანდისტებად და კოორდინატორებად. როგორც ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები, ისინი ზემოქმედებას ახდენენ პენსიონერებზე, სოციალურად დაუცველებსა და სახელმწიფო ბიუჯეტის კმაყოფაზე მყოფ სხვა მოქალაქეებზე.

ადამიანური რესურსებით აშკარა უპირატესობასთან ერთად, მმართველ გუნდებს გააჩნიათ ძალოვან, მაკონტროლებელ და ხელისუფლების სხვა სტრუქტურებზე, აგრეთვე ბიზნესზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტები, რაც ვლინდება საარჩევნო კამპანიების დროს სხვადასხვა ფორმით (თუნდაც შემოწირულობებით) ხელისუფლების მხარდაჭერაში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფინანსური უზრუნველყოფა გადამწყვეტ როლს თამაშობს ნებისმიერი დარგის (როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სფეროს) განვითარებაზე. ფინანსური უზრუნველყოფა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს არჩევნების შედეგებზე და, როცა ერთ საარჩევნო სუბიექტს (ძირითადად სახელისუფლებო გუნდს) სხვა სუბიექტებთან შედარებით ბევრად მეტი დაფინანსება აქვს, აქ საუბარი არჩევნების კონკურენტუნარიანობაზე ლოგიკას მოკლებულია. ასეთ ვითარებაში მოქალაქეთა ნაწილს მიაჩნია, რომ არჩევნებში მათი მონაწილეობა ვერ შეცვლის მოსალოდნელ შედეგს და უყალიბდება არჩევნებისადმი უნდობელი, ნიჰილისტური დამოკიდებულება. ამ კატეგორიის ამომრჩეველთა ხმები ზოგჯერ „იყიდება“. მყიდველი კი არის ის საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საამისოდ მეტ რესურსს ფლობს (ძირითადად მმართველი გუნდი). ასეთ პირობებში არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა ნაკლებად რეალურია.

რა მოხდა 2012 წელს, როცა მმართველი გუნდი (ნაციონალური მოძრაობა) წავიდა ხელისუფლებიდან: პოლიტიკურ ველზე გამოჩნდა და არჩევნებში ჩაება ახალი პოლიტიკური ძალა – „ქართული ოცნება“, რომელსაც ჰქონდა საკმაოდ სერიოზული ფინანსური შესაძლებლობები. მან გარშემო შემოიკრიბა ავტორიტეტული ოპოზიციური პარტიები და სათანადოდ დააფინანსა ისინი. ამით მან მმართველი გუნდის, როგორც არჩევნების სუბიექტის, ფინანსური უპირატესობა გაანეიტრალა.

წინასაარჩევნო დაპირებებსაც უხვად გასცემდნენ „ოცნების“ აქტივისტები. „ოცნების“ ლიდერს ბევრი კეთილი საქმე ჰქონდა გაკეთებული ხალხისა და ქვეყნისათვის. პიროვნულად მისი მაღალი ავტორიტეტის გამო ხალხი ენდო მის გუნდს. შემდგომში ამ დაპირებების დიდი ნაწილი არ შესრულდა, მაგრამ აგიტაციამ თავისი მისია შეასრულა – ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი „ოცნების“ მხარეზე გადაიხარა.

არჩევნების შედეგებზე გადამწყვეტი როლი მაინც ციხეებმა ითამაშეს. საარჩევნო კამპანიის ბოლო დღეებში გავრცელდა ციხეებით პატიმართა წამების ამსახველი კადრები. დასადგენია, ასეთი ფორმით პატიმართა წამება დამკვიდრებული პრაქტიკა იყო თუ არა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი დადგმული სპექტაკლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ ფაქტმა და ტრაგიკულად დაღუპული ჩვილის ასევე პროფესიონალურად არჩევნებთან დაკავშირებამ არჩევნებში პანიკის როლი შეასრულა და დამანგრეველი დარტყმა მიაყენა მმართველი გუნდის ავტორიტეტს. საარჩევნო უბნებსა და მოქალაქეთა თავშეყრის ადგილებზე საუბრის მთავარი თემა – ეს ორი ფაქტი, ლანძღვა-გინების მთავარი ადრესატი კი „ნაციონალური მოძრაობა“ იყო.

ასეთ ვითარებაში ხელისუფლების მომხრე ამომრჩეველთა ნაწილიც „ოცნების“ მხარეს გადაიხარა, რამაც არჩევნების ბედი გადაწყვიტა.

ასე რომ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა არა წყნარ და მშვიდობიან გარემოში, რაც სამართლიანი არჩევნების აუცილებელი პირობაა, არამედ პანიკისა და პროვოკაციის ვითარებაში.

**პანიკა:** არაერთი ფაქტის დასახელება შეიძლება, როცა პანიკამ მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებზე სერიოზული გავლენა მოახდინა. 1626 წელს ბაზალეთთან, „ძმათა ომის“ დროს, გავრცელდა ხმა, გიორგი სააკაძე მოკლესო. გიორგის მომხრეებმა ფარ-ხმალი დაყარეს. გიორგი ცოცხალი აღმოჩნდა, მაგრამ პანიკას თავისი მისია შესრულებული ჰქონდა – გიორგი დამარცხდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, მოსკოვის მიმართულებით შტურმის შესაძლო დაწყების წინ, ფაშისტებმა პანიკა გაავრცელეს – სტალინმა მოსკოვი დატოვაო. სტალინმა იცოდა პანიკის საფრთხე და იგი ტანკზე ამხედრებული გამოჩნდა მებრძოლთა წინაშე. „Сталин С Нами, Мы Победим!“ („სტალინი ჩვენთანაა, ჩვენ გავიმარჯვებთ“) – დაიბადა მებრძოლებში ფრაზა, რაც შემდგომში რეალობად იქცა. „Паникиор хуже врага!“ („პანიკიორი მტერზე უარესია“) – ამბობდა სტალინი და ჩვეული მეთოდებით ანეიტრალებდა მათ. სტალინური მეთოდებით – არა, მაგრამ პანიკიორებსა და პროვოკატორებს ჩვენც უნდა ვებრძოლოთ. ქართველი კაცის ემოციური ბუნებისთვის ის მეტად საშიში და სახიფათო რამაა.

მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ:

– ცრუ დაპირებებით ხალხის ნდობის მოპოვებას დემაგოგია ჰქვია;

– შოკისმომგვრელი (თავზარდამცემი) ინფორმაციის გავრცელებას – პანიკა, პროვოკაცია;

– ამომრჩეველთა მოსყიდვას კი – კორუფცია.

ასე რომ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები განაპირობა არა დემოკრატიის მაღალმა სტანდარტმა, არამედ დემაგოგიამ, პანიკამ და კორუფციამ. ციხე – ეს ტერმინი ნაგავთან კავშირში მოიაზრება, 2012 წლის შემდეგ კი იგი არჩევნებთან ასოცირდება. მან პოლიტიკური ემბლემის „სტატუსი“ შეიძინა. „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლება „ციხებით“ მოსულმა ხელისუფლებამ შეცვალა.

დღეს კი ციხებით მოსულები ციხებით წასულებს ციხებით აშანტაჟებენ. როცა ასეთ „სპექტაკლს“ შევყურებ, 32 წლის წინ ჩატარებული მრავალპარტიული არჩევნების შედეგები ახლებურად აღიქმება – „ვაის გავეყარეთ, ვუის შევეყარეთ“.

**როსტომ ტაბატაძე**

## 43 დაზარალებულიდან ესებუა ვერც ერთმა ვერ ამოიცნო



ზუგდიდში, „საქართველოს ბანკზე“ თავდასხმის საქმეზე დაკავებული, ბადრი ესებუას ადვოკატები აცხადებენ, რომ 43 დაზარალებულიდან ესებუა ვერცერთმა ვერ ამოიცნო. ამის შესახებ ბრალდებულის უფლებადამცველებმა ბრიფინგზე განაცხადეს.

– მიუხედავად იმისა, რომ 43 დაზარალებულია, ამ 43 დაზარალებულიდან არცერთი ადამიანი არ საუბრობს ბადრი ესებუაზე, არანაირად არ უთითებს რაიმე ფორმით, რომ ბადრი ესებუამ ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული, – აცხადებს ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე.

## კახეთში 2 წლის ბავშვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების საქმეზე მცირეწლოვნის მამას პატიმრობა შეეფარდა



კახეთში 2 წლის ბავშვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების საქმეზე დაკავებულ 35 წლამდე მამაკაცს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა.

პროცესი, თელავის რაიონულ სასამართლოში პროკურორის შუამდგომლობისა და ბრალდებულის ადვოკატის თანხმობით, დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

არსებული ინფორმაციით, საქმე ეხება ორი წლის ბავშვს, რომელიც 23 თებერვალს სხეულის მრავლობითი დაზიანებებით და დამწვრობით გურჯაანის „ჯეოჰოსპიტალსის“ კლინიკაში ბებიამ მიიყვანა.

ქალი თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ მცირეწლოვანზე დედამ იძალადა, თუმცა გამოძიების ფარგლებში პოლიციამ მცირეწლოვნის მამა დააკავა, რომელიც ბრალს ნაწილობრივ აღიარებს.

ფაქტზე გამოძიება 126-ე პრიმა მუხლით დაიწყო, რაც ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მიმართ ძალადობას გულისხმობს, თუმცა საქმის დეტალების შესწავლის შემდეგ დაკავებულს ბრალი 11 პრიმა 117-ე მუხლით წარუდგინეს, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

*სამართალი*

## ადვოკატი: „მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მოსაზრებაა, რომ ბადრი ესებუამ დანაშაული ჩაიდინა“

– ბადრი ესებუას საქმესთან დაკავშირებით არანაირი მტკიცებულებები არ არსებობს – სახელმწიფო ბადრი ესებუას იმის გამო სჯის, რაც არ ჩაუდენია, – ამის შესახებ ზუგდიდში „საქართველოს ბანკის“ ყაჩაღობისთვის ბრალდებულ ბადრი ესებუას ადვოკატებმა ალექსანდრე კობაიძემ და ნიკა მემანიშვილმა „მედიაცენტრ მთავარში“ განაცხადეს.

ალექსანდრე კობაიძის განმარტებით, მასალებში არსებობს ე.წ. ოპერატიული ინფორმაცია, რაც არ არის პირდაპირი მტკიცებულება, რის საფუძველზეც შეიძლება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.

– დაზარალებულთაგან არცერთი არ საუბრობს ბადრი ესებუაზე. მტკიცებულებების სიმწირიდან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მოსაზრებაა, რომ ბადრი ესებუამ ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული. მასალებში არსებობს ე.წ. ოპერატიული ინფორმაცია, რაც არ არის პირდაპირი მტკიცებულება, რის საფუძველზეც შეიძლება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, ერთადერთი ე.წ. ოპერატორთან ზარია, სადაც ადამიანი ბანკში რეკავს და სესხთან დაკავშირებით საუბრობს. პირდაპირი მტკიცებულება, რომ, დავუშვათ, ვიღაც ხელს ადებს ან დნმ-ს მსგავსი რამ საქმეში არ არსებობს, – განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.



ამასთან, ნიკა მემანიშვილმა აღნიშნა, რომ ბადრი ესებუა თავდაცვის სამინისტროდან, სოციალურ ქსელში მაჩალიკაშვილის საქმესთან დაკავშირებით გამოთქმული აზრის გამო, გაათავისუფლეს.

ადვოკატის განმარტებით, ბადრი ესებუას დევნიდნენ, რადგან მაჩალიკაშვილის საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია გააჩნდა, რასაც საქმის თავდაყირა დაყენება შეეძლო.

– სახელმწიფო ბადრი ესებუას სჯის იმის გამო, რაც არ ჩაუდენია. მას დაუჭირეს ძმა და ამ საქმეს არაფერი საერთო არ აქვს მართლმსაჯულებასთან და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ბადრი ესებუას ინტერესები დავიცვათ. ბადრი ესებუას ჰქონდა ინფორმაცია, რომლის გამოც ის გაათავისუფლეს თავდაცვის სამინისტროდან. მას დევნიდნენ და იმდენად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული ინფორმაცია, რომ მას შეახოცეს ხელი. ის არ იმყოფებოდა იმ დროისათვის ზუგდიდში, როდესაც ბანკის ძარცვა მოხდა. მას ეშინოდა, რომ სახელმწიფო დასჯიდა და, შესაბამისად, არ ჩნდებოდა საზოგადოებაში, თუმცა იმის თქმა, რომ ის იმალებოდა, არ არის მართებული.

ბადრი ესებუამ მაჩალიკაშვილის საქმესთან დაკავშირებით თავისი აზრი დააფიქსირა სოციალურ ქსელში. ამის გამო ის იდევნებოდა და გაათავისუფლეს თავდაცვის სამინისტროდან, არაერთხელ მივიდნენ და სთხოვეს, რომ მსგავსი ქმედებისგან თავი შეეკავებინა.

რამდენად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი იყო ბადრი ესებუა და რატომ შეიძლებოდა დაესაჯა სახელმწიფოს, ეს საზოგადოებისთვის უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, მათ შორის, ბადრი ესებუასგან, – განაცხადა ნიკა მემანიშვილმა.

ცნობისთვის, გამოძიების ინფორმაციით, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ შენობაში 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიარაღებული ბადრი ესებუა შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარს და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა. ბადრი ესებუა მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნითა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

ახალი თაობა

# რამდენად რეალურია ბელარუსიდან უკრაინაზე შეტევის საფრთხე?!

24 თებერვალს შესრულდება რუსეთის უკრაინაში შეჭრის წლისთავი. როგორც ცნობილია, პუტინი შარშან ამა დროს ხმამაღლა აცხადებდა, რომ კიევს სამ დღეში აიღებდა.



გეგმები ელვისებური და წარმატებული ომის შესახებ ჩაიშალა. დღეისათვის ფრონტის ხაზი დონბასიდან ხერსონამდე ათასობით კილომეტრზეა გადაჭიმული, რუსი ოკუპანტების დანაკარგმა კი 145.850-ს გადააჭარბა. ამხელა მსხვერპლი რუსეთს მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის წლებში თუ ჰქონდა.

ასე დაუბრუნდათ რუსებს თავიანთი დიქტატორის დიდმპყრობელური ამბიციები.

ეს ყოველივე კრემლს მოსვენებას აკარგვინებს. ოდიოზურმა რუსმა „ექსპერტმა" სივკოვმა განაცხადა, რომ მალე ბელარუსის მხრიდან უკრაინაზე შეტევა დაიწყება. სივკოვმა რუსეთის გენშტაბის გეგმა გაახმოვანა. არსი მოკლე და მარტივია: შეტევა ბელარუსიდან არა კიევზე, არამედ დასავლეთ უკრაინის მიმართულებით განხორციელდება; შედეგად გადაიჭრება ყველა გზა, რომლითაც დასავლეთიდან უკრაინაში იარაღი შემოდის.

– დღეს ეს „დემოკრატიული სამყარო" უკრაინას იარაღს აწვდის. უკვე საუბარია რაკეტების, ავიაციის, ტანკების მიწოდებაზე. აი, ყველა გზას რომ გადავუჭრით, მაშინ ვნახავთ, უკრაინელები როგორ იომებენ! – ამბობს სივკოვი.

თავად უკრაინაში ეს ყოველივე შეშფოთებას იწვევს. უკრაინის გენშტაბმაც შექმნილი ვითარება გულმოდგინედ გააანალიზა. უკრაინის გენშტაბის უფროსის მოადგილე გრომოვმა თავის ტელეინტერვიუში აღნიშნა:

– ბელარუსის ტერიტორიაზე არ შეიქმნა ე.წ. დამრტყმელი დაჯგუფება! არ არსებობს რუსეთ-ბელარუსის „სამოკავშირეო სახელმწიფოს" გაერთიანებული ჯარებიც, რომლებიც ერთ ცენტრს დაექვემდებარებიან და რომელთაც ომი ძალუძთ!

გრომოვი ბელარუსების განწყობილებებზეც შეჩერდა. მან ხაზი გაუსვა, რომ თვითმარქვია პრეზიდენტი ლუკაშენკო წლების განმავლობაში ცდილობდა, ბელარუსებში როგორც მშობლიურ ენის სიყვარული, ისე ჯანსაღი, მილიტარისტული სული მოესპო. მან ეს შეძლო. შედეგები სახეზეა. დღეს ბელარუსი ოკუპირებულია. მის საზღვრებს უცხო სახელმწიფო, ანუ რუსეთი აკონტროლებს.

ბელარუსი ხალხი შეეგუა იმას, რომ მათი ქვეყანა რუსეთის მიერაა ოკუპირებული. მათ საკუთარი სამშობლოსათვის არ იომეს და მით უმეტეს არ იომებენ „უკრაინის გასათავისუფლებად მითიური ფაშიზმისაგან". ამიტომაც ფაქტობრივად ჩაიშალა ბელარუსში „კერძო სამხედრო კომპანიის" შექმნაც. რასაკვირველია, შემაშფოთებელია რუსეთის არმიაში ბელარუსის მოქალაქეების დიდი ოდენობით გადაბირება, მაგრამ ფართომასშტაბიანი შეტევისათვის აუცილებელია კარგად შეიარაღებული, გაწვრთნილი დაჯგუფების შექმნა. ასეთი კი არ შეიქმნა.

გრომოვმა ამას ხაზი გაუსვა. მან ისე, როგორც უკრაინის გენშტაბმა, გააკეთა დასკვნა, რომ ბელარუსიდან შეტევის საფრთხე მინიმალურია და დაახლოებით 2-3%-ს არ აღემატება. რასაკვირველია, სიფხიზლე აუცილებელია. პუტინს შეუძლია ავანტიურების განხორციელება, მით უმეტეს, რომ ის კედელთანაა მიჭეჭყილი. ბელარუსზე ზეწოლაც ძლიერდება. გრომოვმა განაცხადა, რომ ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ და პუტინის მორიგ გიჟურ ნაბიჯს სათანადოდ მომზადებული შევხვდეთ.

## ბაიდენმა „ჩინური სამშვიდობო გეგმა" დაიწუნა

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი უკრაინასა და მის გარშემო განვითარებულ პროცესებს ყურადღებით ადევნებს თვალს. პრეზიდენტი დაწვრილებით შეჩერდა ჩინეთის „სამშვიდობო გეგმაზე".

## აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ყაზახეთში ჩასვლას აპირებს



28 თებერვალს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩავა. ამის თაობაზე იუწყება „რბკ-უკრაინა".

დაგეგმილია ბლინკენის შეხვედრა ყაზახეთის პრეზიდენტ ტოკაევთან, აგრეთვე ყაზახეთის პრემიერ– მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან.

## გაერომ მშვიდობის უკრაინულ გეგმას მხარი დაუჭირა

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა უკრაინაში მშვიდობის გეგმას, რომელიც უკრაინულმა მხარემ წარადგინა. გეგმა საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და უკრაინიდან რუსული არმიის საჩქაროდ გაყვანას მოითხოვს.

გაერომ უარყო ბელარუსული მხარის წინადადება უკრაინისათვის იარაღის მიწოდების აკრძალვის თაობაზე.

სამშვიდობო გეგმას მხარი დაუჭირა 60-მდე ქვეყანამ. წინააღმდეგნი იყვნენ რუსეთი, ბელარუსი, სირია. თავი შეიკავეს ჩინეთმა, ირანმა, ტაჯიკეთმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## უკრაინას აშშ-ის კონგრესში სრული მხარდაჭერა აქვს

აშშ-ის კონგრესში უკრაინას სრული მხარდაჭერა აქვს. ამის შესახებ განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა კარინ ჟან-პიერმა. მან ხაზი გაუსვა, რომ უკრაინისადმი დახმარების საკითხში როგორც დემოკრატები, ისე რესპუბლიკელები ერთსულოვანნი არიან. ჟან-პიერმა გაიხსენა რესპუბლიკური პარტიის ერთ– ერთი ლიდერის მიტჩ მაკკონელის ვიზიტი კიევში. ის პრეზიდენტ ზელენსკის შეხვდა და რესპუბლიკური პარტიის მხრივ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

ამავე დროს, რესპუბლიკურ პარტიაში არიან ექსპრეზიდენტ ტრამპის მომხრეები (ე.წ. ტრამპისტები), რომლებიც უკრაინისადმი დახმარების წინააღმდეგ გამოდიან.

– ჩვენ მიერ უკრაინის ბრმა მხარდაჭერის გამო მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, – აცხადებს ტრამპი.

საბედნიეროდ, ეს ძალები თვით რესპუბლიკურ პარტიაშიც კი უმცირესობაში არიან.

## ჩინეთმა უკრაინული კრიზისის მოგვარების საკუთარი გეგმა გამოაქვეყნა



რუსეთ-უკრაინის გაჭიანურებულმა ომმა ჩინეთის ყურადღებაც მიიპყრო. პეკინმა კონფლიქტის მოგვარების საკუთარი გეგმა გამოაქვეყნა. ჩინური გეგმა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩინეთი არ არის რუსეთის მოკავშირე და საკუთარ თამაშს თამაშობს.

ჩინურ გეგმაში არის პუნქტები, რომლებიც მოსკოვში ნამდვილად არ მოეწონებათ. მაგალითად, ჩინეთი მხარს უჭერს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, გმობს ბირთვულ შანტაჟსა და ა.შ. ამავე დროს, ჩინელები მოითხოვენ საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და არსებული სტატუსკვოს დაფიქსირებას. ამით ჩინეთი იმეორებს იმას, რასაც პუტინი ამბობს.

ჩინეთი გმობს ცალმხრივი საერთაშორისო სანქციების დაწესებას, სამხედრო ბლოკების გაფართოებას (იგულისხმება ნატო), რაც მოსკოვში ასევე ძალიან მოეწონებათ. ჩინეთი კვლავაც თავს იკავებს რუსეთის აგრესორად გამოცხადებისაგან და უკრაინელი ერის გენოციდში დადანაშაულებისაგან.

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: აღმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# სპორტი

## შედეგები

25 თებერვალი
ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ჰემი-ნოტინგემი ........ 4:0
ლესტერი-არსენალი ........ 0:1
ლიდსი-საუთჰემპტონი ........ 1:0
ევერტონი-ასტონ ვილა ........ 0:2
ბორნმუთი-სიტი ........ 1:4
კრ.პალასი-ლივერპული ........ 0:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 24 | 18 | 3 | 3 | 52-23 | 57 |
| 2.სიტი | 25 | 17 | 4 | 4 | 64-25 | 55 |
| 3.მანჩესტერი | 24 | 15 | 4 | 5 | 41-28 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 24 | 13 | 3 | 8 | 44-35 | 42 |
| 5.ნიუკასლი | 23 | 10 | 11 | 2 | 35-15 | 41 |
| 6.ფულემი | 25 | 11 | 6 | 8 | 36-31 | 39 |
| 7.ლივერპული | 23 | 10 | 6 | 7 | 38-28 | 36 |
| 8.ბრაიტონი | 22 | 10 | 5 | 7 | 39-29 | 35 |
| 9.ბრენტფორდი | 23 | 8 | 11 | 4 | 37-30 | 35 |
| 10.ჩელსი | 23 | 8 | 7 | 8 | 23-23 | 31 |
| 11.ასტონ ვილა | 24 | 9 | 4 | 11 | 30-38 | 31 |
| 12.კრ.პალასი | 24 | 6 | 9 | 9 | 21-31 | 27 |
| 13.ნოტინგემი | 24 | 6 | 7 | 11 | 18-42 | 25 |
| 14.ლესტერი | 24 | 7 | 3 | 14 | 36-42 | 24 |
| 15.ვულვზი | 24 | 6 | 6 | 12 | 18-33 | 24 |
| 16.ვესტ ჰემი | 24 | 6 | 5 | 13 | 23-29 | 23 |
| 17.ლიდსი | 24 | 5 | 7 | 12 | 29-39 | 22 |
| 18.ევერტონი | 24 | 5 | 6 | 13 | 17-32 | 21 |
| 19.ბორნმუთი | 24 | 5 | 6 | 13 | 22-48 | 21 |
| 20.საუთჰემპტონი | 24 | 5 | 3 | 16 | 19-41 | 18 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ქოვენთრი-სანდერლენდი ........ 2:1
ბარნლი-ჰადერსფილდი ........ 4:0
ბირმინგემი-ლუთონი ........ 0:1
ბრისტოლი-ჰალი ........ 1:0
ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო ........ 2:0
ქპრ-ბლექბერნი ........ 1:3
ნორვიჩი-კარდიფი ........ 2:0
პრესტონი-უიგანი ........ 2:1
რედინგი-ბლექპული ........ 3:1
სტოკი-მილუოლი ........ 0:1
შეფილდი-უოტფორდი ........ 1:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

ვერდერი-ბოხუმი ........ 3:0
ჰერტა-აუგსბურგი ........ 2:0
კიოლნი-ვოლფსბურგი ........ 0:2
ლაიფციგი-აინტრახტი ........ 2:1
ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი ........ 0:1
შალკე-შტუტგარტი ........ 2:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 22 | 15 | 1 | 6 | 45-27 | 46 |
| 2.ბაიერნი | 21 | 12 | 7 | 2 | 61-21 | 43 |
| 3.უნიონი | 21 | 13 | 4 | 4 | 35-24 | 43 |
| 4.ლაიფციგი | 22 | 12 | 6 | 4 | 45-27 | 42 |
| 5.ფრაიბურგი | 21 | 12 | 4 | 5 | 34-31 | 40 |
| 6.აინტრახტი | 22 | 11 | 5 | 6 | 43-31 | 38 |
| 7.ვოლფსბურგი | 22 | 9 | 6 | 7 | 40-29 | 33 |
| 8.მაინცი | 22 | 9 | 5 | 8 | 37-34 | 32 |
| 9.ვერდერი | 22 | 9 | 3 | 10 | 34-41 | 30 |
| 10.გლადბახი | 22 | 8 | 5 | 9 | 38-39 | 29 |
| 11.ლევერკუზენი | 21 | 8 | 3 | 10 | 35-35 | 27 |
| 12.კიოლნი | 22 | 6 | 8 | 8 | 32-36 | 26 |
| 13.აუგსბურგი | 22 | 7 | 3 | 12 | 26-38 | 24 |
| 14.ჰერტა | 22 | 5 | 5 | 12 | 27-40 | 20 |
| 15.შტუტგარტი | 22 | 4 | 7 | 11 | 27-38 | 19 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 22 | 5 | 4 | 13 | 29-41 | 19 |
| 17.ბოხუმი | 22 | 6 | 1 | 15 | 24-54 | 19 |
| 18.შალკე | 22 | 3 | 7 | 12 | 16-42 | 16 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კაიზერი-ფიურტი ........ 3:1
ნიურნბერგი-ზანდჰაუზენი ........ 1:0
კილი-პადერბორნი ........ 1:1
დარმშტადი-ჰამბურგი ........ 1:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-მალიორკა ........ 2:1
კადისი-რაიო ........ 1:0
რეალი-ატლეტიკო ........ 1:1
ვალენსია-სოსიედადი ........ 1:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 22 | 19 | 2 | 1 | 45-7 | 59 |
| 2.რეალი | 23 | 16 | 4 | 3 | 47-18 | 52 |
| 3.სოსიედადი | 23 | 13 | 4 | 6 | 32-23 | 43 |
| 4.ატლეტიკო | 23 | 12 | 6 | 5 | 32-18 | 42 |
| 5.ბეტისი | 23 | 12 | 4 | 7 | 32-25 | 40 |
| 6.რაიო | 23 | 9 | 7 | 7 | 29-25 | 34 |
| 7.ბილბაო | 22 | 9 | 5 | 8 | 31-23 | 32 |
| 8.მალიორკა | 23 | 9 | 4 | 10 | 21-24 | 31 |
| 9.ვილიარეალი | 22 | 9 | 4 | 9 | 24-22 | 31 |
| 10.ოსასუნა | 22 | 8 | 6 | 8 | 19-21 | 30 |
| 11.ხირონა | 22 | 7 | 6 | 9 | 33-33 | 27 |
| 12.ესპანიოლი | 23 | 6 | 9 | 8 | 29-34 | 27 |
| 13.სევილია | 22 | 6 | 7 | 9 | 24-30 | 25 |
| 14.კადისი | 23 | 6 | 7 | 10 | 18-35 | 25 |
| 15.ვალიადოლიდი | 22 | 7 | 3 | 12 | 16-30 | 24 |
| 16.სელტა | 22 | 6 | 6 | 10 | 23-34 | 24 |
| 17.ვალენსია | 23 | 6 | 5 | 12 | 27-27 | 23 |
| 18.ალმერია | 22 | 6 | 4 | 12 | 27-40 | 22 |
| 19.ხეტაფე | 22 | 5 | 7 | 10 | 19-28 | 22 |
| 20.ელჩე | 23 | 1 | 6 | 16 | 17-48 | 9 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალავესი-კარტახენა ........ 0:0
რასინგი-ანდორა ........ 2:1
მირანდესი-ლეგანესი ........ 0:0
ხიხონი-ტენერიფე ........ 1:0

### იტალია. სერია ა

ემპოლი-ნაპოლი ........ 0:2
ლეჩე-სასუოლო ........ 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 24 | 21 | 2 | 1 | 58-15 | 65 |
| 2.ინტერი | 23 | 15 | 2 | 6 | 44-27 | 47 |
| 3.რომა | 23 | 13 | 5 | 5 | 30-19 | 44 |
| 4.მილანი | 23 | 13 | 5 | 5 | 39-30 | 44 |
| 5.ლაციო | 23 | 12 | 6 | 5 | 39-19 | 42 |
| 6.ატალანტა | 23 | 12 | 5 | 6 | 42-26 | 41 |
| 7.იუვენტუსი | 23 | 14 | 5 | 4 | 35-17 | 32 |
| 8.ბოლონია | 23 | 9 | 5 | 9 | 30-33 | 32 |
| 9.ტორინო | 23 | 8 | 7 | 8 | 24-25 | 31 |
| 10.უდინეზე | 23 | 7 | 9 | 7 | 31-28 | 30 |
| 11.მონცა | 23 | 8 | 5 | 10 | 28-31 | 29 |
| 12.ემპოლი | 24 | 6 | 10 | 8 | 22-31 | 28 |
| 13.ლეჩე | 24 | 6 | 9 | 9 | 24-27 | 27 |
| 14.სასუოლო | 24 | 7 | 6 | 11 | 27-35 | 27 |
| 15.ფიორენტინა | 23 | 6 | 7 | 10 | 24-30 | 25 |
| 16.სალერნიტანა | 23 | 5 | 6 | 12 | 25-44 | 21 |
| 17.სპეცია | 23 | 4 | 7 | 12 | 19-39 | 19 |
| 18.ვერონა | 23 | 4 | 5 | 14 | 20-34 | 17 |
| 19.სამპდორია | 23 | 2 | 5 | 16 | 11-38 | 11 |
| 20.კრემონეზე | 23 | 0 | 9 | 14 | 17-42 | 9 |

**შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა**

### იტალია. სერია ბ

ბრეშა-ბარი ........ 0:2
ვენეცია-კალიარი ........ 0:0
ზიუდტიროლი-პალერმო ........ 1:1
კომო-კოზენცა ........ 5:1
რეჯინა-მოდენა ........ 2:1
ტერნანა-ჩიტადელა ........ 1:2
ჯენოა-სპალი ........ 3:0

### საფრანგეთი. ლიგა 1

ანჟე-ლიონი ........ 1:3
მონპელიე-ლანსი ........ 1:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 24 | 18 | 3 | 3 | 59-23 | 57 |
| 2.მარსელი | 24 | 16 | 4 | 4 | 48-22 | 52 |
| 3.მონაკო | 24 | 15 | 5 | 4 | 53-31 | 50 |
| 4.ლანსი | 25 | 14 | 8 | 3 | 39-20 | 50 |
| 5.ლილი | 25 | 13 | 5 | 7 | 45-32 | 44 |
| 6.რენი | 24 | 14 | 4 | 7 | 44-28 | 43 |
| 7.ნიცა | 24 | 10 | 8 | 6 | 30-21 | 38 |
| 8.ლორიანი | 24 | 11 | 6 | 7 | 38-35 | 39 |
| 9.ლიონი | 25 | 11 | 5 | 9 | 39-28 | 38 |
| 10.რეიმსი | 24 | 7 | 13 | 4 | 30-26 | 34 |
| 11.ტულუზა | 24 | 9 | 5 | 10 | 41-42 | 32 |
| 12.კლერმონი | 24 | 8 | 6 | 10 | 24-33 | 30 |
| 13.ნანტი | 24 | 6 | 10 | 8 | 25-29 | 28 |
| 14.მონპელიე | 25 | 8 | 3 | 14 | 36-46 | 27 |
| 15.სტრასბური | 24 | 4 | 9 | 11 | 29-42 | 21 |
| 16.ბრესტი | 25 | 4 | 8 | 13 | 26-42 | 20 |
| 17.ტრუა | 24 | 4 | 7 | 13 | 33-53 | 19 |
| 18.აიაჩო | 24 | 5 | 3 | 16 | 18-45 | 18 |
| 19.ოსერი | 24 | 4 | 6 | 14 | 21-48 | 18 |
| 20.ანჟე | 25 | 2 | 4 | 19 | 21-53 | 10 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

გრენობლი-ლე ავრი ........ 0:0
ვალანსიენი-დიჟონი ........ 2:2
გენგამი-კაენი ........ 1:2
ლავალი-კევიი ........ 0:1
მეცი-ნიმი ........ 2:0

**მეცის პირველი გოლი გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა**

როდეზი-ბასტია ........ 0:2
სტ.ეტიენი-პო ........ 2:0
სოშო-ანსი ........ 5:1
პარიზი-ნიორი ........ 3:0

### ნიდერლანდები. ეიდივიზიონი

გრონინგენი-ექსელსიორი ........ 3:0
ჰერენვენი-ვალვაიკი ........ 1:4
ალკმაარი-კამბური ........ 2:1
ნაიმეგენი-ვოლენდამი ........ 3:0

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

აროუკა-კასა პია ........ 2:0
მარიტიმუ-სანტა კლარა ........ 3:1
ვიზელა-ბენფიკა ........ 0:2

### ბელგია. ა დივიზიონი

სერენი-მეხელენი ........ 0:2
გენკი-ოსტენდე ........ 3:0
ეუპენი-სერკლი ........ 2:2
ვესტერლო-სენ ჟილუა ........ 4:2

### თურქეთი. სუპერლიგა

გირესუნი-ქაისერი ........ 1:2
ფენერბახჩე-ქონია ........ 4:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

აუსტრია-ჰარტბერგი ........ 3:0
შტურმი-კლაგენფურტი ........ 1:2

### შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-ლივინგსტონი ........ 1:0
კილმანროკი-მოზერველი ........ 1:1
როსი-დ.იუნაიტედი ........ 4:0
სტ.ჯონსონი-სტ.მირენი ........ 1:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

აეკი-ასტერასი ........ 2:0
იანინა-პაოკი ........ 0:0
ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი ........ 0:0

### ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოჰემიანსი 1905-ბრნო ........ 1:1
ზლინი-სპარტა ........ 2:3
ბოლესლავი-ჩესკე ........ 2:2
პლზენი-ლიბერეცი ........ 2:1

### შვეიცარია. სუპერლიგა

სიონი-სტ.გალენი ........ 0:4
ციურიხი-იანგ ბოიზი ........ 2:2

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიასტი-კრაკოვია ........ 2:1
ვარტა-კორონა ........ 5:1
ლეხია-რადომიაკი ........ 1:3

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# გოგა ბითაძე მოედანს ყოფილ გუნდთან დაუბრუნდა



გოგა ბითაძე მოედანს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ დაუბრუნდა. გეხსომებათ, ჩვენებური ინდიანამ გუნდიდან გაუშვა, მაგრამ გოგა უგუნდოდ დიდხანს არ დარჩენილა ორლანდომ აიყვანა. ახალ გუნდში კი პირველად გამთენიისას ითამაშა და ეს სწორედ ინდიანასთან მოხდა.

ორლანდომ შინ 108:121 წააგო, მაგრამ ბითაძეს ვერაფერს უსაყვედურებს, რადგან ჩვენებურმა პარკეტზე 9.24 წუთი დაჰყო, რა დროშიც 6 ქულა, 6 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

გოგამ ორიდან მხოლოდ ერთი ორქულიანი ჩააგდო, რასაც თითო სამქულიანი და ჯარიმა მიაყოლა, პასივში კი, ერთ აცილებასთან ერთად, ერთი პერსონალური ჯარიმაც ჰქონდა. ბითაძის მოედანზე ყოფნის დროს ორლანდომ 7 ქულა მოიგო.

ორლანდომ ამ წაგებით ფლეი ოფში შესვლის შანსი გაირთულა, რადგან კონკურენტებს კიდევ უფრო ჩამორჩა. მომდევნო მატჩი „ჯადოქრებს" 28 თებერვალს ნიუ ორლეანთან ელის.

# დინამომ და სამტრედიამ სეზონი გამარჯვებებით გახსნეს

დაიწყო საქართველოს ეროვნული ლიგა. 35-ე ჩემპიონატის ორი მატჩი გაიმართა და ორივე დაძაბული გამოდგა.

### დილა-დინამო (თბ) 1:2

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**0:1 კამარა (35), 1:1 გეილი (40), 1:2 სხირტლაძე (53)**

**დილა:** კუჩერენკო, გაფრინდაშვილი (მახარობლიძე 83), ზ.თევზაძე, სანტოსი, გეილი, ფარულავა (ასამოა 86), ცეცხლაძე (ეტოუ 83), ვიქტორი, სილვა, ძოწენიძე, ჩიტეიშვილი

**დინამო:** კუტალაძე, მალი (ხვადაგიანი 67), მექვაბიშვილი (ოსიყმაშვილი 67), სხირტლაძე (მარუშიჩი 71), იმრანი (კალანდაძე 58), ტაბიძე, ნზაბა, თ.კირკიტაძე (ხარაიშვილი 67), კობოური, კამარა, სიგუა

**გაძევება:** ტაბიძე (54), თევზაძე (80)

გასული სეზონის ჩემპიონმა თბილისის დინამომ გორში დილას 2:1 მოუგო და ახალი სეზონი გამარჯვებით გახსნა.

თამაში დაძაბული გამოდგა, სამი გოლითა და ორი გაძევებით.

35-ე წუთზე დინამო გვინეელმა უსმანე კამარამ დააწინაურა, თუმცა, დილამ მალევე გაათანაბრა – გორელთაგან გოლი ბარბადოსელმა გეილიმ გაიტანა და ტაიმი 1:1 დასრულდა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა კამარას პასის მერე დავით სხირტლაძემ კვლავ წინ გაიყვანა დინამო – 1:2.

სხირტლაძის გოლიდან ერთ წუთში დინამოელი ჯიმი ტაბიძე მეორე ყვითელი ბარათის გამო გააძევეს. თუმცა, დილამ რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენა. მე-80 წუთზე კი მინდორი გორელთა მცველ ზურაბ თევზაძესაც დაატოვებინეს.

ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა...

### სამტრედია-თელავი 1:0

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

**1:0 ნაჭყებია (65)**

**სამტრედია:** ბურიჩენკოვი, მირცხულავა, ინჯგია (გვიშიანი 63), რობაქიძე (ჩიტაიშვილი 63), კორიფაძე, ნაჭყებია (ლაღაძე 79), ხმალაძე (ხაიბულაევი 79), კილასონია, ჩამბა (ჩარგეიშვილი 79), ოლატუნჯი, უბილავა

**თელავი:** თანდილაშვილი, დუნდუა, გიგაშვილი, ვიტინიო, ფირანაშვილი, ქოჩლაძე (ჯიქია 75), ფაცაცია, ილურიძე (აშორტია 66), მუჯირი (კოხრეიძე 55), ყაველაშვილი (კრისტიანი 75), პარკინაშვილი

სამტრედიამ შინ 1:0 მოუგო თელავს. გოლი ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ ზვიად ნაჭყებიამ გაიტანა. 23 წლის ფლანგელი შემტევი იმერულ კლუბში ვიტ ჯორჯიადან გადავიდა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ეს იყო ეროვნული ლიგის 2023 წლის სეზონის პირველი გოლი, რადგან სეზონი ამ მატჩით გაიხსნა.

**საზოგადოება**

# ჯონსონი შესაძლოა ნატოს გენერალური მდივანი გახდეს



ბრიტანეთის ექსპრემიერი ჯონსონი შესაძლოა ნატოს გენერალური მდივანი გახდეს. ამის თაობაზე თავად ჯონსონმა თავის ტელეინტერვიუში განაცხადა:

– მე ვაპირებ, ნატოს გენერალური მდივნის პოსტზე კენჭი ვიყარო! იმედია, გამიმართლებს, – თქვა ჯონსონმა.

როგორც ცნობილია, ნატოს ამჟამინდელი გენერალური მდივანი სტოლტენბერგი თავის პოსტზე ამა წლის გაზაფხულამდე დარჩება. ერთ-ერთი, ვისაც გააჩნია ამბიცია, რომ ნატოს გენერალური მდივანი გახდეს, ბრიტანეთის ექსპრემიერი ბორის ჯონსონია.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# გელათის სარეაბილიტაციო სამუშაოებს საპატრიარქო გადაიბარებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მცდარი და დანაშაულებრივი. კარგია, რომ ძეგლს ჩამოშორდა ჯგუფი, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა ფიზიკურ სამუშაოებს. საპატრიარქოს არ გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მართვის გამოცდილება. უფრო მეტიც, საპატრიარქოს არ გააჩნია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მართვის გამოცდილება. ეს გადაწყვეტილება არის სახიფათო პრეცედენტი, ვინაიდან, არსებობს რისკი, რომ სახელმწიფოს, ანუ სამინისტროს სრული ჩამოშორება და მხოლოდ ერთადერთი აქტორისთვის, საპატრიარქოსთვის მთელი ძალაუფლების მინიჭება, გელათის გარდა, გავრცელდება სხვა ძეგლებზეც. ბევრად იმატა ანჩისხატის ეკლესიისთვის გადაცემის რისკმა.

რა უნდა მომხდარიყო: ბოლო პერიოდში საპატრიარქოს მხრიდან ადეკვატური ნაბიჯების გადადგმის ფონზე (კურტოს/იუნესკოს ექსპერტების ჩამოყვანა, ჩუბინაშვილის ინსტიტუტისთვის დასკვნის დაწერის შეკვეთა, ფიზიკური სამუშაოების გაჩერების მოთხოვნა), საპატრიარქოს ჰქონდა შესაძლებლობა, საქართველოს მთავრობის წინაშე დაეყენებინა კულტურის მინისტრის გადაყენების საკითხი. გელათის მართვა უნდა დარჩენილიყო სახელმწიფოს ხელში. სამინისტროს ახალ გუნდს გელათის გადარჩენის პროცესი უნდა გაეხადა საჯარო და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი და საერთაშორისო ფართო ჯგუფის ჩართულობა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# „კორიერე დელო სპორტი": „ხვიჩა ფეხბურთს ხატავს"



იყო მოსაზრება, რომ ფრანკფურტში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ ნაპოლი ემპოლიში დაღლილი ჩავიდოდა. საუბრობდნენ იმაზეც, რომ ლუჩანო სპალეტი ხვიჩა კვარაცხელიასა და ვიქტორ ოსიმენსაც დაასვენებდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ნეაპოლიტანელებმა ისევ იმარჯვეს – 2:0.

„კორიერე დელო სპორტმა", ტრადიციულად, მატჩის გამორჩეული მოთამაშეები დაასახელა. გთავაზობთ იტალიური გაზეთის მოსაზრებას:

### ულიკაკი ოსიმენი

სიტყვები უძლურია. ოსიმენი თავს არასდროს ზოგავს, ყოველთვის მაქსიმუმს აკეთებს. თამაშის ბედი მაშინ გადაწყდა, როდესაც პირველ 28 წუთში მეტოქეს ჯერ საკუთარ კარში აიძულა გოლის გატანა, შემდეგ კი, თავად შეუგდო. ვიქტორს ზედიზედ მე-8 შეხვედრაა გოლი გააქვს. 24 წლის ნიგერიელი ასაკით მეორეა, ვინც ასეთი რამ შეძლო – მასზე უმცროსი მხოლოდ რობერტო მუცი იყო, რომელმაც 1995 წელს კალიარის შემადგენლობაში იგივე 23 წლისამ გააკეთა. სერია ა-ს ბომბარდირთა ლიდერს უკვე 19 გოლი აქვს გატანილი. ოსიმენმა მოედანი 84-ე წუთზე დატოვა და გასვლის წინ აქტიურობის ძალა ისევ ჰქონდა. ოსიმენს ტაში თვით ლუჩანო სპალეტიმ დაუკრა.

### კვარაცხელიას წყვილი ასისტი და დახატული ფეხბურთი

ხვიჩა ფეხბურთს ხატავს – შთამბეჭდავად და ბუნებრივად. მისთვის თითქოს ყველაფერი ადვილია. კვარამ ორივე გოლში მიიღო მონაწილეობა. ჯერ იყო და ჟელინსკის მიაწოდა ბურთი, რასაც შემდეგ ისმაილის ავტოგოლი მოჰყვა, მერე კი, ვიკარიომ მისი დარტყმული მოიგერია და სწორედ ამ მოგერიებულს დაამატა ოსიმენმა. ერთ ეპიზოდში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რისთვისაც სპალეტისგან ინგლისურად საყვედური მიიღო – კვარა, თამაშგარის ხაზს დააკვირდი. თუმცა, სპალეტი ხომ ყოველთვის უკმაყოფილოა. მეორე ტაიმში იმდენად აქტიური აღარ იყო, სული მოითქვა და ეს სრულიად ნორმალურია.

### კიმმა კინაღამ გაიტანა: ნამდვილი ბუჩქია

კორეელი შეუვალია. ვინაიდან „კასტელანიზე" დაცვაში მაინცდამაინც ბევრი საქმე არ ჰქონია, თავის გამოჩენა გოლის გატანით ცადა: მისი ფაქტობრივად სრულყოფილი თავური ძელმა აისხლიტა.

### ლოსანო ზაზუნაა

ლოსანო პოლიტანოს ამჯობინეს და მექსიკელმაც განა მხოლოდ უშუალო მეურვე პარიზი გააწამა, სხვებსაც გაუმწარა ცხოვრება – მეტოქე გუნდში პანიკას თესავს. როდესაც ტურბოს რთავს, შეუდარებელია.

დი ლორენცო, ყველა საქმის ოსტატი: მნიშვნელოვანი ფიგურა

ნამდვილი კაპიტნის კიდევ ერთი თამაში. ჯიო ჩვეულებრივი განაპირა მცველი არ არის და წარმოდგენებს უკვე ყველა მიაჩვია. სპალეტიმ დი ლორენცო არაფრის დიდებით არ დათმო და ეს უფასდება კიდეც. ასეთი დი ლორენცო ნაკრების მწვრთნელ მანჩინისაც აჭყეტინებს თვალებს.

### ლობოტკა ძრავია, რომელიც არასდროს ითვება

ნახევარდაცვის ჩვეულებრივი ძრავია, რომელიც სპალეტის ხელში ხელახლა დაიბადა, ხოლო ლობოტკას ხელში ნაპოლი არასდროს აკლებს ბრუნებს. სლოვაკი გარანტიაა.

### მარიო რუის წითელი აჩვენეს: ერთადერთი იმედგაცრუება ის იყო

იმ თერთმეტეულიდან რომელმაც ფრანკფურტში ითამაშა, ერთადერთი ცვლილება ოლივერას ნაცვლად მარიო რუის გამოჩენა იყო. პორტუგალიელს პირველ ტაიმში ბევრჯერ ეუხეშნენ, მაგრამ პორტუგალიელმა ხმა არ ამოიღო. მეორე ტაიმში კი ნერვებმა უმტყუნა, რადგან კაპუტოს საპასუხოდ ფეხი მისცხო. ზოგადად მარიო რუი იყო უსარგებლო და ნაპოლის საქმე გაურთულა. გუნდის ერთადერთი ჩავარდნა ის იყო.

### სპალეტი, როგორც ოსკაროსანი რეჟისორი

ყოველდღიური საქმეების მართვა მისთვის პრობლემა არ არის. კვლავ ენდო შემადგენლობას, რომლითაც ფრანკფურტში გაიმარჯვა – 11 ფეხბურთელიდან 10 მოედანზე დატოვა და დაამტკიცა, რომ გუნდი სულაც არ იყო დაღლილი. მისი ნაპოლი არის იდეალური მანქანა, რომელსაც ამ გიჟურ სეზონში მომდევნო გამარჯვების მოსაპოვებლად ნახევარი საათი სჭირდება. სპალეტი ყოველთვის უკმაყოფილოა, ყველას რაღაცას საყვედურობს, განსაკუთრებით კვარაცხელიას, თანაც ინგლისურად. მისი გუნდი ინტერს 18 ქულით რომ უსწრებს და მწვრთნელს მაინც რამდენიმე წამი სძინავს. მოკლედ, ნაპოლის თავისი ჩემპიონატი აქვს. „აძურის" გულშემატკივრები მარჩიელობენ ასეთი ტემპით რომელ ტურში გახდება მათი საყვარელი გუნდი ჩემპიონი. ვინ არის მისი გამჩერებელი? გასულ სეზონში ემპოლიში ნაპოლი მე-80 წუთამდე 2:0-ს იგებდა, მაგრამ 2:3 წააგო და ჩემპიონობაზე ოცნებას დაემშვიდობა. წლეულს სულ სხვა ისტორიააა...

# 17 წლამდე ნაკრებმა სომხეთს ორჯერ მოუგო

საქართველოს 17 წლამდე გოგონათა ნაკრებმა ერევანში სომხეთის ასაკობრივ ნაკრებთან ორი ამხანაგური მატჩი გამართა და ორივე დიდი ანგარიშით მოიგო.

სალომე ხუბულურის გუნდმა პირველ შეხვედრაში მეტოქე 5:0 დაამარცხა. მატჩის მე-13 წუთზე ზუსტად შესრულებული პენალტით ანგარიში ნინო ბუხრიკიძემ გახსნა; 34-ე წუთზე საქართველოს ნაკრების უპირატესობა ორამდე ნათია ჯოჯუამ გაზარდა; 47-ე წუთზე ლიზი კანკიამ მასპინძელთა კარში მესამე გოლი გაიტანა; 52-ე წუთზე ნინო ბუხრიკიძემ დუბლი გაიფორმა; ხოლო მატჩის საბოლოო ანგარიში თინათინ ამბალიამ დააფიქსირა.

პირველის მსგავსად, ხუბულურის გუნდმა ერევანში მეორედაც დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა – 4:0.

გატანილი გოლების გარეშე დასრულებული პირველი ტაიმის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნა: 49-ე წუთზე თავი ლიზი კანკიამ გამოიჩინა, რომელმაც ერთ წუთში დუბლი შეასრულა; 61-ე წუთზე საქართველოს ნაკრების უპირატესობა სამამდე თინათინ ამბალიამ გაზარდა; ხოლო შეხვედრის საბოლოო ანგარიში ნინო ბუხრიკიძემ დააფიქსირა.

სომხეთის 17 წლამდე ნაკრებთან ამხანაგური მატჩები ჩვენი გუნდისთვის გაზაფხულზე გასამართი ოფიციალური შეხვედრებისთვის მოსამზადებელი ეტაპია. 12 და 15 მარტს, საქართველოს 17 წლამდე გოგონათა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ბ ლიგის ფარგლებში ისრაელს და შოტლანდიას დაუპირისპირდება. საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს შოტლანდია უმასპინძლებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 2. არმიის, ფლოტის მეთაურთა შემადგენლობის პირი; 3. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 5. კროსვორდის გამომგონებელი; 9. საფრანგეთის ნაკრებისა და „ჩელსის" ფეხბურთელი; 10. შეხედულება, თვალსაზრისი, რომლითაც განიხილავენ საგნებს, მოვლენებს; 14. ოფიცერი, რომელიც განაგებს სამხედრო ნაწილის მომარაგებას სურსათით, ტანსაცმლითა და სხვა არასაბრძოლო ნივთებით; 15. ჯალათის სახელწოდება ძველად საქართველოში; 16. ღომში ჩაზელილი სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო ინდოეთის ოკეანეში; 20. თვითმფრინავების სადგომი; 21. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში.

**თარაზულად:** 6. საერთაშორისო ხელშეკრულების დაკანონება; 7. ატმოსფეროში სწრაფად მოძრავი გავარვარებული კოსმოსური სხეული; 8. დამოუკიდებელ ფერმერთა დასახლება ისრაელში; 11. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 12. სპორტული სირბილი წინაღობათა გადალახვით; 13. რაიმე ნივთის მეორე ცალი მუზეუმში, კოლექციაში; 17. უბანი პარიზში; 18. მრავალი ენის მცოდნე ადამიანი; 22. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 23. მარჯვე, გულადი, ყოჩაღი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 23. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 25. ისტორიული ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აირზენა; 2. პუშტუ; 3. კანცლერი; 4. ყარყუმი; 5. სინტოიზმი; 9. სონატა; 12. სექტორი; 14. პანამა; 15. ელბა; 17. საარი; 18. აკრი.

**თარაზულად:** 6. სინხუა; 7. ვარიანტი; 8. აზარტი; 10. ტუმბო; 11. კარაბინერი; 13. ოპონენტი; 16. პერესი; 19. კორონერი; 20. სავოიარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვალენსა; 2. აბატისა; 3. ალტიმეტრი; 4. დინასი; 5. გრივნა; 9, იურტა; 10. ომმეტრი; 14. ფორტეპიანო; 15. ხევსურეთი; 16. მტრედი; 19. ზოდიაქო; 20. კლოუნი; 21. ანკეტა.

**თარაზულად:** 6. ღარიბაშვილი; 7. მადიარი; 8. ბერეტა; 11. პუნსონი; 12. ოსუმი; 13. ატლანტა; 17. გეომეტრია; 18. ტიტესტერი; 22. ფლორიდა; 23. დანლოპი; 24. ექსპერტი; 25. სინკლიტი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

27 თებერვალი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.6325 |
| ევრო | — 2.7889 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.1629 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.4760 |

## ამინდის პროგნოზი 27 თებერვლისათვის




## მარსელო ფლუმინენსეში დაბრუნდა



ბრაზილიელი მცველი მარსელო სამშობლოში დაბრუნდა და კარიერას ფლუმინენსეში გააგრძელებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მარსელომ ამ გუნდთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მარსელომ კარიერა სწორედ ფლუმინენსეში დაიწყო. ბრაზილიელმა განაცხადა, რომ ის მინიმუმ რამდენიმე წელიწადი არ აპირებს კარიერის დასრულებას.

## დიეგო სიმეონე: „რეალთან მუდმივად 10 კაცით ვთამაშობთ“

მადრიდის რეალმა და ატლეტიკომ ფრედ 1:1 ითამაშეს და მეორე ტაიმში ატლეტიკოს ფორვარდი ანხელ კორეა მსაჯმა მოედნიდან გააძევა. ეს უკვე ზედიზედ მესამე მატჩია, როდესაც ატლეტიკო რეალთან 10 კაცით რჩება და ამაზე ყურადღება დიეგო სიმეონემაც გაამახვილა: „შემდეგში თავიდანვე 10 კაცით გამოვალთ მოედანზე. ვიცით, რომ მაინც ვიღაცას გააძევებენ. მსაჯს შეეძლო, სხვაგვარი გადაწყვეტილება მიეღო. შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან რეალთან სტუმრად ფრე ცუდი არ არის“.

## მიკელ არტეტა: „ჩემპიონობას ვუახლოვდებით“



არსენალმა სტუმრად ლესტერი დაამარცხა 1:0 და მიკელ არტეტას გუნდმა ლიდერობა გაიმყარა, თუმცა წინ ჯერ კიდევ ბევრი თამაშია და არსენალს ჩემპიონობისთვის ბრძოლა მოუწევს. მიკელ არტეტას თქმით, არსენალი მიზანთან სულ უფრო ახლოს არის: „რთული თამაში მოვიგეთ და მიხარია, რომ არსენალი ქულებს არ კარგავს. ჩვენ მიზანს ვუახლოვდებით და ყველა შეხვედრა ფინალის ტოლფასია“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## გელათის სარეაბილიტაციო სამუშაოებს საპატრიარქო გადაიბარებს

კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით, გელათის მონასტრის სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს საპატრიარქო გადაიბარებს. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ტაძართან დაკავშირებით შეხვედრა ორ უწყებას შორის უკვე გაიმართა.

ამ სიახლეს ხელოვნებათმცოდნე ცირა ელისაშვილი გამოეხმაურა:

– რაც შეეხება გელათს: სიცრუეა, რომ გელათის მართვის სადავეების საპატრიარქოსთვის გადაცემის ინიციატივა თავად კულტურის მინისტრს ეკუთვნის. საპატრიარქომ ამ ფორმით სახე შეუნარჩუნა წულუკიანს. საპატრიარქოს მიერ მართვის სადავეების მთლიანად საკუთარ ხელში აღება ადასტურებს, რომ კულტურის სამინისტროს პოლიტიკა გელათთან დაკავშირებით იყო

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## იუმორი

შვილი მამას ეუბნება:

– მამიკო დიდი ბარბი მინდა.

– მეც შვილო, მაგრამ დედაშენი უარზეა...

●●●

ცოლი ქმარს საყვედურით ეუბნება:

– რა სულელი ვიყავი, თაყვანისმცემლების მთელი ბრბო დამდევდა, მე კი ყველა უარით გავისტუმრე.

– რა სამწუხაროა, რომ იმ ბრბოში მეც არ მოვხვდი.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– როგორ იტან შენს ცოლს, სულ უხასიათოდაა, სულ ბუზღუნებს, ყოველ წვრილმანზე ჩხუბობს. ოდესმე კარგ ხასიათზე თუ ყოფილა?

– ღმერთმა ნუ ქნას, თორემ, როდესაც კარგ ხასიათზეა, სიმღერას იწყებს!

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– ძილი გიყვარს?

– კი.

– მეც.

– მერე?

– ერთად დაძინება ხომ არ გვეცადა?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემს ცოლს ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ვუყიდე და უკვე ორი კვირაა, არ მელაპარაკება.

– რატომ?

– ასეთი შეთანხმება გვქონდა.

●●●

ცოლი ტელეფონზე საუბრობს. ბოლოს ყურმილი დაკიდა და ქმარი ეკითხება:

– ვინ იყო?

– დედაჩემი, მგონი ცოტათი შეიშალა.

– მართლა? ე.ი. ცოტათი გამოჯანმრთელებულა...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## გოგი გეგეჭკორი 100 წლის გახდებოდა



თეატრისა და კინოს მსახიობი გოგი გეგეჭკორი 100 წლის გახდებოდა:

– ბაბუს 100 წელი შეუსრულდებოდა. დღემდე სულ ჩემთან არის. არ ვიცი, რანაირად ხდება ეს, მაგრამ ასეა. ყველაზე ინტელიგენტი, დახვეწილი და კულტურული არტისტი იყო, დიდი შინაგანი კულტურის მატარებელი, – განაცხადა იუბილარი მსახიობის შვილიშვილმა თამარ გეგეჭკორმა.

რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი კი გოგი გეგეჭკორის საუკუნოვან იუბილეს ასე გამოეხმაურა:

– ზუსტად 20 წლის წინ ამ დღეს ყველა ახლობელი შეკრიბა, საკუთარი „არ დაიდარდო“ მოაწყო, 80 წლის შესრულდა იმ დღეს, თუმცა რეალისტი გახლდათ და ზუსტად იცოდა საკუთარი დაავადების შესახებ და ისიც იცოდა, რომ წამმზომი ჩართული იყო. ამ დღის შემდეგ ზუსტად მე-16 დღეს გარდაიცვალა. ყველას დაემშვიდობა, ყველას თავისი წილი სიხარული და სიყვარული დაუტოვა და ვალმოხდილი შეუერთდა დიდ ქართველ არტისტთა თანავარსკვლავედს ზეციურ საქართველოში. გიორგი გეგეჭკორი ქართულ თეატრში იყო გამორჩეული ტატო ბარათაშვილი, დონ სეზარ დე ბაზანი, ექვთიმე ქათამაძე, მგელი, ტიგრან გულოიანი, პლატონ სამანიშვილი, ნათან ბრძენი, პანტე ჯაავა, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, ლორდი ბაკინგემი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი... ჩემი თაობისთვის მისი რეჟისორის ასისტენტი თუმანიშვილის შედევრში „ჩვენი პატარა ქალაქი“ აქტიორული მაღალი ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუში იყო. უმნიშვნელოვანესი პროფესიული თვისებებით დაჯილდოებული, ნამდვილ მაგალითს წარმოადგენდა ოსტატობის, პროფესიონალიზმის, ნიჭის, საქმის სიყვარულის, მაყურებლისადმი უკიდეგანო პატივისცემისა და მოკრძალების. რამდენი რამის სწავლა შეიძლებოდა მისგან, თუნდაც უბრალოების, თუნდაც მაძიებლობის, თუნდაც პუნქტუალურობისა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. გიორგი გეგეჭკორი 100 წლის შესრულდა!

## ზვიად ციკოლიას საათები მიუნხენის საერთაშორისო გამოფენაზეა



იტალიის შემდეგ ქართველი დიზაინერის ზვიად ციკოლიას საათები უკვე გერმანიაში გამოიფინა:

– ერთ თვეში მეორე საერთაშორისო გამოფენა. ამჯერად მიუნხენი და ისევ „ციკოლია“ ჩვენი საათებით. ყველაზე მაგარი გუნდით ყველაფერი შესაძლებელია.

## მირიან ხუხუნაიშვილი საუკეთესო დირიჟორთა შორის დასახელდა



ახალგაზრდა ქართველი დირიჟორი მირიან ხუხუნაიშვილი 56 ქვეყნის 350 აპლიკანტიდან 20 საუკეთესო დირიჟორს შორის დასახელდა:

– ძალიან ბედნიერი ვარ იმ ფაქტით, რომ 56 ქვეყნის 350 აპლიკანტიდან აღმოვჩნდი 20 დირიჟორს შორის და მონაწილეობას მივიღებ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ, გუსტავ მალერის სახელობის დირიჟორთა კონკურსზე. კონკურსის ფარგლებში ბამბერგის სიმფონიურ ორკესტრს ვუდირიჟორებ.

## ლეგენდარული პიანისტი რიჩარდ კლაიდერმანი თბილისში კონცერტს გამართავს




მსოფლიოში ცნობილი პიანისტი და მუსიკოსი რიჩარდ კლაიდერმანი, პროფესიონალი ორკესტრის თანხლებით, თბილისში 3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე კონცერტს გამართავს.

ხელოვანის შემოქმედება ძალიან მდიდარი და ნაყოფიერია, რაც არაერთხელ შეფასდა მუსიკის დარგის მრავალი დიდებული წარმომადგენლის მიერ. მუსიკის მოყვარულ საზოგადოებას ეს შემოქმედი ძირითადად ისეთი ნამუშევრებით ახსოვს, როგორებიცაა: ვერცხლის ნაძვი, ცეცხლის მთვარე, ოქროს გული, წერილი დედაჩემს, მოგონებები და შობა, ახლა კი შესაძლებლობა ეძლევათ, მისი გამორჩეული შესრულება კიდევ ერთხელ მოისმინონ.

კლაიდერმანს ჩაწერილი აქვს 1200-ზე მეტი მელოდია, გაყიდული 80 მილიონზე მეტი ჩანაწერით. ის 270 ოქროსა და 70 პლატინის ფირფიტის მფლობელია. მან შექმნა ახალი რომანტიკული სტილი კლასიკური და პოპმუსიკის შერწყმით. მასვე ეკუთვნის ფორტეპიანოს შესრულების ახალი სტანდარტი, რომელიც შეიძლება შესრულდეს როგორც ფორტეპიანოს მოყვარულთა, ასევე დამწყებთა მიერ. ბევრი ახალგაზრდა ფორტეპიანოსა და კლასიკური მუსიკისადმი ინტერესს სწორედ მის მუსიკას უნდა უმადლოდეს. კლაიდერმანის მუსიკამ შექმნა ხიდი, რითაც პოპმუსიკა კლასიკურ მუსიკას დაუკავშირა. მან კლასიკური მუსიკის არსი და გაგება, განსაკუთრებით კი მისი შექმნა, მსოფლიოს ფართო საზოგადოებას გაუმარტივა. გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში ის დასახელებულია, როგორც „მსოფლიოში ყველაზე წარმატებული პიანისტი“.

რიჩარდ კლაიდერმანის კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 80-დან 350 ლარამდეა. საღამოს ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ვინც შეიძენს 500 ლარის ბილეთს, შეძლებს, რიჩარდ კლაიდერმანს პირადად შეხვდეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 27 თებერვლისათვის

**ვერძი** – ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, ასევე – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **ტყუპები** – შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **კირჩხიბი** – დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ, რათა მიზანს მიაღწიოთ. **ლომი** – აგრესიული ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობაზე გაამახვილეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **სასწორი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. დღეს კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით. **მორიელი** – კონფლიქტური დღეა. დაიმახსოვრეთ, დუმილი ოქროა. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **მშვილდოსანი** – მშვენიერი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად. **თხის რქა** – გირჩევთ, ეს დღე სახლში გაატაროთ. ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდით. თავი მოიწესრიგეთ. **მერწყული** – ზედმეტი მიმნდობლობა სასურველი არ არის. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან. **თევზები** – ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 4. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 5. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ქართველი კომიკოსი; 12. მოხეტიალე მომღერალი მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 17. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 18. გარეგნული მომხიბვლელობა, შარმი.

**თარაზულად:** 6. დაბადების დღის აღნიშვნა; 7. ჩქარტემპიანი კუბური ცეკვა; 8. ჩანჩქერი არგენტინაში; 10. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 11. ტრიუკების შემსრულებელი კინოფილმებში; 13. სასამართლო განაჩენის გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში; 16. თმის, წვერის გამკრეჭი ხელოსანი; 19. საკონდიტრო ნაწარმი; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*